ვეფხვნაცვალი

1927 სახელმწიფო გამომცემლობა. № 7

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი.

		გვ.
1.	მუშების დახვრეტა—**შანის**	2
2.	მებრძოლი ჩინეთი—ლექსი—**გ. რობიტაშვილის**	3
3.	ლენა—**ს. ერთაწმინდელის**	4
4.	სოფლის წურბელა—**ი. კის**	6
5.	გაზაფხული სოფლად—ლექსი—**შ. კუჭავას**	9
6.	მიწის წიალში—**ა. კს**	10
7.	სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-IV ყრილობა—**შე—ლის**	13
8.	ჩვენი ძმები ისოფლიოში	14
9.	როგორ მუშაობს აწარმოებს პიონერ—კოლექტივი ოქტომბრელთა ჯგუფში—**ტანის**	15
10.	ჩვენი ცხოვრება	17
11.	მეცნიერება და ტექნიკა	18
12.	ბოსტნის მოწყობა—**მ. არველაძის**	19
13.	რადიო	20
14.	მეცნიერება და სარწმუნოებრივი დღესასწაული	22
15.	ბავშთა შემოქმედება	23
16.	თამაშობანი	24

329.153(05)
ᲐᲐ-47.

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზადმყოფი

პიონერი

1927
15 აპრილი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქართველოს მ. ჯ. ო. ცენტრალური მიწრის (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის) ჟურნალი მავშვისათვის

წელიწადი II
№ 7

საქართველოს სახელმწიფო
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



ამხ. ფ. მახარაძე

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-IV ყრილობაზე კვლავ იქნა არჩეული ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ.



ამხ. შ. ელიავა

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-IV ყრილობაზე კვლავ იქნა არჩეული სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშების დახვრეტა.

შორეული ციმბირის ტაიგაში, რომელიც საქართველოდან რამოდენიმე ათასი ვერსით არის დაშორებული, ოქროს მადნის რაიონია ასეულ ვერსზე გადაჭიმული. ოქტომბრის რევოლუციამდე ეს ადგილები ბურჟუების და მემამულეების სრულ საკუთრებას წარმოადგენდა. ძალა-უფლების ყველა დაწესებულებები: პოლიცია, სამხედრო მართველობა, სასამართლო და სხვა ყველაფერი მადნეულობის პატრონების ხელში იყო.

ამ მაღაროების მფლობელმა ბურჟუა-მემამულეებმა რუსეთის სახელმწიფოში შექმნეს მეორე თავისი სახელმწიფო, დამოუკიდებელი ხელისუფლება, რომელიც შეუბრალებლად სჩაგრავდა, ტყავს აძრობდა მაღაროებში მომუშავე მუშებს. მათ ამ საქმეში მეფის მთავრობაც დიდად ეხმარებოდა და ხელს უწყობდა.

აქ მუშებს უხდებოდათ მძიმე სამუშაოზე ყოფნა 12-14-16 საათის განმავლობაში, ულუფას კი ძალიან მცირეს იღებდენ, რაც ვერც კი აკმაყოფილებდა მუშების უპირველესი საჭიროების მოთხოვნილებებს.

მაგრამ ესეც არ იკმარეს ლენის მადნების ბატონ-პატრონებმა. ისინი თანდათან უფრო და უფრო აუარესებდენ მუშების მდგომარეობას, მათ ცხოვრებას: ხელფასს უკლებდენ, ჯარიმებს ამრავლებდენ, სანოვაგეს ფასებს უმატებდენ, ანგარიშში ატყუებდენ, მუშათა ბინების და მაღაროებში მუშაობის პირობების მოწესრიგებაზე სრულიად არ ფიქრობდენ და სხვა.

ასეთ აუტანელ პირობებში მყოფმა მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ამ გაფიცვის უშუალო საბაბი შეიქნა ის, რომ ერთ-ერთ მუშას მისცეს ათი გირვანქა ხორცი, რომელშიაც ცხენის ასო აღმოჩნდა. ამ ფაქტს, რომელმაც დაჩრდილა ყველა წარსული დანარჩენი შეურაცხყოფა, ადგილი ჰქონდა 1912 წლის 25 თებერვალს.

შეეძლოთ თუ არა მაღაროების მფლობელების ამ საზიზღარი საქციელის მოთმენა ლენის მუშებს? რასაკვირველია, არა!..

ცნობა ამ „კარგი ხარისხის“ ხორცის მიცემაზე ელვის სისწრაფით მოედვა მაღაროების მუშებს. ლენის მაღაროს მუშების მოთმინების ფიალა აივსო.

29 თებერვალს მუშები არ გამოვიდენ სამუშაოზე და ამავე დროს შემდეგი მოთხოვნა წარუდგინეს მაღაროების მფლობელებს:

1) მომავალში კარგი ხარისხის ხორცის მოცემა და 2) სამზარეულოს უფროსის დაუყოვნებლივ დათხოვნა.

ამ მოთხოვნებს შემდეგ სხვა მოთხოვნებიც მოჰყვა. მაგალითად:

1) რვა საათის სამუშაო დღის შემოღება, 2) ხელფასის გადიდება, 3) ჯარიმების გაუქმება, 4) ზრუნვა მუშათა ექიმობაზე და სხვა.

მუშათა მიერ წარდგენილმა მოთხოვნებმა დიდად ააღელვა მაღაროს ბატონები. მათ გადასწყვიტეს გაფიცული მუშების ძალით დამორჩილება. მათ მახლობელი ქალაქიდან (ირკუტსკიდან) გამოიწვიეს ჯარი.

ჯარის მოახლოებით გათამამებულმა მაღაროს მფლობელებმა დააპატიმრეს მუშების მიერ მოსალაპარაკებლად გაგზავნილი მუშები.

4 (17) აპრილს ამ დაპატიმრების გამო მთელი მუშები გაემგზავრენ პროკურორთან მოსალაპარაკებლად. ტყის ვიწრო გზით მიდიოდენ ისინი. ამ დროს სრულიად უმიზეზოდ, ოფიცრის ბრძანებით, მუშებს სროლა აუტეხა ჯარმა. პირველსავე გასროლაზე უიარაღო მუშები მიწაზე გაწვენ, მაგრამ არც ამან უშველა მათ: ჯარისკაცებმა მწოლარეებს დაუშინეს ტყვიები.

გათავდა ბრძოლა... და მინდორში დარჩა 270 მოკლული და 150 დაჭრილი მუშა. დაჭრილებს არავითარ დახმარებას არ უწევდენ და ისინი ათობით იღუპებოდენ...

როდესაც ეს მხეცური დახვრეტა გაიგო რუსეთის მუშათა კლასმა, მან ერთსულოვანი გაფიცვა გამოაცხადა.

ლენის დღეებმა უდიდესი როლი ითამაშა რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციონურ მოძრაობაში: მან გამოაფხიზლა ის მომავალი ბრძოლებისათვის.

ლენის დღეები მოსამზადებელი საფეხური შეიქნა იმ დიდი მოძრაობისთვის, რომელსაც ოქტომბრის რევოლუცია ეწოდება.

შანი.

89
ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზრძოლი ჩინეთი

ბარიკადებად
გადიშალა
ჩინეთი დიდი,
ცეცხლი დაენთო,
ბრძოლის ცეცხლი
ტყვია-წამალის;
ზღვა ხალხმა ტანჯვას
ველარ უძლო
და ჩატყდა ხიდი,
ხიდი მოთმენის,
ქედმოდრეკის,
მსგავსი სამარის...
წითელი დროშა
აფრიალდა
დიდ აღმოსავლეთს,
შეგუბებული
გულის შფოთვა
აგორდა ტალღად,
ტალღად მრისხანედ,
შეუპოვრად,
გრიგალ ქარიშხლად,
რომელიც დალეწს,
აცამტვერებს
დახავსულ მტარვალთ...
და ახალ ჩინეთს
ლურჯი ცით დღეს
სხვა მზე დანათის;
ვრცელ ზღვის ტალღებმა
მას მიუძღვნა
„ვაშა, დიდება“...
ეს არ ასვენებს
ძველ ბატონებს,
მათ წარმოდგენა
დალეწილ ბორკილთ
მონობისას
ვერ ეგუება...
მაგრამ აწ კმარა:
დროის ჩარხი
შეტრიალდება,
მათ ბატონობა
ისტორიამ
უნდ ასამაროს. .
შექმნილი ჩაგვრა
მსოფლიოში
გატიალდება
და ალის დროშა
გადეშლება
ახალ სამყაროს.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

ბ. რობიტაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ე ნ ა

— ეს იყო შორს, ციმბირის სულ მიყრუებულ მხარეში, ყინულოვანი ოკეანის ახლოს, იქ, სადაც ოქროს მადნებია მადნებით და მდინარე ლენა ჩამოდის...

უყვებოდა საბავშო ბაღის ყველაზე ახალგაზრდა მასწავლებელი, ლენა, ბავშებს რომლებიც დაიბარა დღეს საექსკურსიოდ, რევოლუციის მუზეუმში წასაყვანად, რადგანაც დღეს კვირა დღე იყო და მეცადინეობა არ სწარმოებდა...

— გვიამბე, გვიამბე, მასწავლებელო... — არ ეშვებოდენ ბავშები, რა ლენამ ლენის ამბებზე ჩამოუგდო ლაპარაკი, როგორც ყოველთვის იცოდა ხოლმე რევოლუციონური ამბების თქმა...

— მერე, მერე?

— მერე და ის, საყვარელი ბავშებო, რომ, როგორც გითხარით, პატარა ვიყავი მაშინ, თქვენზე უფრო პატარა, და ბუნდოვანად მახსოვს ის საზარელი ამბავი, მხოლოდ დაწვრილებით დედამ მიამბო...

— რა მოხდა, რა? — მოუთმენლობდენ ბავშები...

— რა და, ახლავე გეტყვით... ეს იყო 1912 წელს, 4 აპრილს ძველი სტილით და ახლით კი 17, სწორედ დღევანდელ დღის, ჩემი დაბადების დღეს... ლენა ჩემი სამშობლო მხარეა, იქა ვარ დაბადებული. მამაჩემი გადასახლებული იყო იმ მხარეში, რევოლიუციონური მოღვაწეობის გამო, და ლენის მაღაროებში მუშაობდა უბრალო მუშად. ისიც სხვებთან ერთად დაეცა ამ დღეს ჟანდარმების ტყვიით განგმირული, და დედაჩემმა იმ დროის სახსოვრად ლენა დამარქვა...

ლაპარაკობდა ლენა და სახე ხან გაუნათდებოდა, ხან მოელრუბლებოდა; მას გაახსენდა თავისი ბავშობა, როდესაც ის საზარელი ამბავი მოხდა, მამა დაიღუპა, ისინი გამოჰყარეს იქიდან და ორ წელს დედასთან ერთად ეხეტებოდა სოფლიდან სოფლად, ქალაქიდან ქალაქად. დედა მუშაობდა ხან სად და ხან სად, რომ ერჩინა თავისი თავი და ბავში, ვიდრე ერთ ზამთარს სარეცხის დროს არ გაცივდა და ლოგინად ჩაწვა, საიდანაც აღარ ამდგარა; ლენა დარჩა ობლად, უპატრონოდ; მაშინ ის ხანაგაში მიაბარეს მეზობლებმა, სადაც იზრდებოდა მაშინდელ საზარელ პირობებში, შემდეგ რევოლუციამ მოუსწრო, დედის შორეული ნათესავი გამოუჩნდა, გამოიყვანა, სკოლაში მიაბარა, შემდეგ მასწავლებელთა კურსებზე შევიდა და გამოემგზავრა აქეთ, სამხრეთისკენ, სადაც უკვე ორი წელია მასწავლებლობს, უყვარს თავისი ხელობა, სამხრეთის მზე, ხალხი, ბავშები და თავსა სდებს მათ სამსახურად: ძნელია მისთვის ყველა იმ საზარელი სურათის გახსენება, რაც მან მეფის მთავრობის დროს გამოიარა, მაგრამ ეს სევდა დაფარა რევოლუციის გამარჯვებამ, თავისუფლების მზის ამობრწყინებამ მშრომელთა განთიადზე... და იმიტომაა, რომ ის ბავშებს რევოლუციონურ ამბებს უყვება ხოლმე უფრო ხშირად, ასწავლის, მტერთ შეუპოვარ შვილებად ზრდის, ამზადებს.

— იქ, ლენის მხარეში, დიდი ამბები მოხდა ამ თხუთმეტი წლის წინათ, რასაც ჩვენი რევოლუციის მსვლელობაში დიდი ამაგი მიუძღვის...

ჰო, იქ იყო ოქროს მადნები, სადაც დიდძალი ხალხი მუშაობდა; მადნები ეკუთვნოდა მდიდრების ერთ ერთ კომპანიას და მუშებს საძაგლად ეპყრობოდენ, კატორღულ პირობებში ამუშავებდენ და ხელფასს კი ცოტას აძლევდენ; მუშებს არ ჰყოფნიდათ ქირა, სიმშილით იხოცებოდენ, შიშვლები იყვნენ იმ აუტანელ სიცივეებში, და მოითხოვეს პირობების გაუმჯობესება, მაღაროების პატრონებს თავისი არჩეული კაცები მიუგზავნეს თხოვნით, მაგრამ იმათ კი, საპასუხოდ, აიღეს და ყველანი დააპატიმრეს, ციხეში ჩასვეს; მთავრობაც მათ ეხმარებოდა ყოველმხრივ, რადგანაც დაინტერესებული იყო იმ ოქროთი, თითონაც წილი ერია და, ისე ხომ, საზოგადოთ, მთავრობა მდიდრებს შველოდა ხოლმე და მუშებს კი ებრძოდა, ეჭერდა, ციხეში სვამდა, ბორკილებს ადებდა, სახრჩობელაზე აჰყავდა, ხვრეტდა... და, აი, როცა ეს ამბავი გაიგეს მუშებმა, რომ მათი არჩეულები დააპატიმრეს, შეიკრიბენ ყველანი და გასწიეს იქით, რომ მოეთხოვათ თავისი არჩეულების განთავისუფლება, მაგრამ მათ შუაგზაშივე დაახვედრეს ჟანდარმები და ჯარი, რომელთაც მშვიდობიანად მიმავალ მუშებს, ტყეში ჩასაფრებულებმა, ტყვია დააყარეს; არც კი მიუშვეს კანტორამდე, არც კი მოუსმინეს იმ მუშებს, რომლების შრომითაც ისინი მდიდრდებოდენ და სუქდებოდენ, ურომლისოდაც ისინი შიმშილით ამოწყდებოდენ... თოვლით თეთრად დაფარული დედამიწა წითლად შეიღება, აუარებელი მუშის სისხლით; გაისმა კვნესა და წყევა დაჭრილების, ყვირილი, ღრიანცელი; მთელი მიდამო მოიფინა დაჭრილ-დახოცილებით; საზარელი სურათი გადაიშალა თვალწინ; როგორც ცულით მოჭრილი ხეები, ისე ეყარა 250 მოკლუ-

90
ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობიანად მიმავალ მუშებს ტყვია დააყარეს.

ლი და 270 დაჭრილი... მეორე მესამე დღეს 250 კუბო გადარჩენილ და დამწუხარებულ მუშებს ერთად მიჰქონდათ ძმათა სასაფლაოზე, სამგლოიარო გალობით. მათ გულშიც ზვავდებოდა შურისძიება და ღვივდებოდა ცეცხლად; ბევრი ოჯახი დაობლდა მაშინ, ბევრი ბავში დარჩა უმამოდ, და მათ შორის მეც, რომელსაც მაჯა მომიკლეს იქ: ივ ორასორმოცდაათში ჩემი საყვარელი მამაც ერია... ამ საზარელმა ამბავმა შესძრა მთელი მსოფლიო, ამ ამბავმა აამხედრა მთელი მამინდელი რუსეთის იმპერიის მშრომელი ხალხი მთავრობის საზიზღრობის და ბურჟუაზიის, მემამულეთა გაუმაძღრობის წინააღმდეგ და დაიწყო აშკარა გულისწყრომა, გაფიცვები, აჯანყებები დიდ სამრეწველო ქალაქებში, მიყრუებულ სოფლებში; დროებით მიყრუებული 1905 წლის ამბები ისევ განახლდა, აიგო ბარიკადები ქუჩებზე, აფრიალდა წითელი დროშა, მაგრამ ისევ სისხლში ჩაახრჩეს ეს გამოსვლებიც, ვიდრე არ დაჭკრა 1917 წ. რევოლუციის ზარმა და არ წალეკა ყველა სისხლისმსმელი ჯალათები...

ლენა შეჩერდა, თავი ჩაღუნა, ფიქრებმა წაიღეს; ამ ამბავმა დააფიქრა აგრეთვე ბავშვებიც. მათი პაწია გული ატირდა ლენის ამბების აღწერით. დროებით სიჩუმე ჩამოვარდა, ვიდრე თითონ ლენამ არ დაარღვია ისევ..

— ჩემო საყვარელო ბავშებო, თქვენ რომ დაიზრდებით და გადაათვალიერებთ რევოლუციის ისტორიებს, თუ როგორ იბრძოდენ თქვენი წინაპრები, რათა დღევანდელი თავისუფლება მოეპოვათ, იქ ლენინს ამბებსაც შეხვდებით, რომელსაც ყოველწლივ ვიგონებთ აპრილის ჩვიდმეტს. .

— ჩვენ არ დავივიწყებთ ლენის მებრძოლებს, ჩვენ მუდამ გვეხსომება...

გაისმა აქედ იქიდან ბავშების წამოძახილი მასწავლებლის საპასუხოდ...

გაზაფხული სასიამოვნოდ რთავდა მიდამოს მწვანე ფარჩით, ბზე უხვად ჰფენდა სხივებს, ქუჩები ხმაურობდა, მუზეუმისკენ ორ-ორად ჩამწკივებულ ბავშებს წინ მიუძღოდა ლენა, და ბავშების ხელში ნელი სიო არხევდა პაწია წითელ დროშებს...

სეზმან ერთაწმინდელი.

ჩვენი კავშირის მუშათა კლასი მხოლოდ გრძოლით იკაფავდა გზას ოქტომგრისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის ფურგელა.

ვასიკო ხუთი წლის იყო, როდესაც მოუკვდა დედა, ისაკას და მამა მას სულ არ ახსოვდა.

დარჩა ობოლი ბიჭუნა მარტოდმარტო, დაცარიელებულ ქოხში. ჰქონდა მას გულზე ჩამოსაკიდებელი მძივი და ერთი მშიერი კატაც ჰყავდა. ეს იყო მთელი ქონება, დედისაგან დატოვებული. სხვა გზა არ ჰქონდა, ქუჩა-ქუჩა უნდა დაეწყო მოწყალების თხოვა, მაგრამ შეებრალა ბიძია ისაკას და თავისთან წაიყვანა.

ისაკას შვილები არ ჰყავდა. რა არ ჰქნა, როგორ არ ლოცულობდა, მაგრამ სასწაულმოქმედმა ხატებმა ვერაფერი უშველა. და მაშინ გადასწყვიტეს მან და მისმა ცოლმა, ეშვილებინათ ობოლი ვასიკო.

— გავზარდოთ ბიჭი, —ამბობდა ისაკა, —მისი ჭამა-სმა არ დაგვაქცევს, ორი-სამი წლის შემდეგ კი ის ყოჩაღი მუშა იქნება, სხვისი დაქირავება არ დაგვჭირდება. თუ დედას გამოემგვანა, ჩემს ცხონებულ დას, ვიშვილოთ და ცოლიც შევრთოთ, და თუ ლოთ მამამისს დაემსგავსა, სულ პანღურის ცემით ვიფრინოთ, წინ ვინ დაგვიდგება.

გაიზარდა ვასიკო ისაკასთან. დედ-მამის ხელში მას სული ჰქონდა გამწარებული ცემა-ტყეპით და სიმშილ-წყურვილით. ისაკა კი მას იშვიათად სცემდა და ყოველდღე მაძღარი იყო. მაგრამ ისაკა მას წამდაუწუმ არიგებდა, რითაც გულს უწვრილებდა ბავშს. გადატრიალების შემდეგ კი, როდესაც ისაკას ჩამოართვეს მებატონისაგან შესყიდული მიწა და ტყე, ის ლუკმასაც აყვედრიდა ბავშს.

— თუ დამჯერი იქნები, — ეუბნებოდა ისაკა, — ცოლს შეგრთავ და მთელ ქონებასაც შენ დაგიტოვებ, მე ხომ შენს მეტი ნათესავი არ მყავს, მაგრამ თუ იმ ციგან კომკავშირელებთან და პიონერებთან დაიწყე თრიალი, ბუს კვერცხებს მიიღებ, აი! ყველაფერს ეკლესიას დავუტოვებ, ჩემი სულის მოსახსენებლად, შენ კი გასწი და იყიალე სოფელ-სოფელ!

ტყვილა არ აჭმევდენ ლუკმა პურს ვასიკოს: აუტანელი სამუშაოთი მას წელი ჰქონდა მოთრეული. განსაკუთრებით აუტანელი იყო ბავშის მდგომარეობა საეკლესიო უქმეების დროს: ისაკა და მისი ცოლი ღვთის მოსავნი იყვნენ და უქმე დღეს ხელსაც არ გაანძრევდენ. მაშინ ყოველგვარი საქმე ვასიკოს უნდა გაეკეთებია. საბჭოთა დღესასწაულები კი არ სწამდა ისაკას, თვითონაც მუშაობდა და ბავშსაც ამუშავებდა.

ეკას ეცოდებოდა ბავში და ხანდახან ეტყოდა ქმარს:

— კაცო, ცოდვაა, ღმერთი გიწყენს, სად გაგონილა, რომ აღდგომასაც არ ასვენებ ამ ბავშს! ასეთ დღეს მუშაობა დიდი ცოდვაა, გაიგე, ადამიანო!

— ეჰ, ერთი შენც! მაგისგან ხეირი მაინც არ გამოვა, კომუნისტი გახდება, მაგ რჯულძაღლი! მამას გამოემგვანა შეჩვენებული! ერთ-ორ წელიწადს კიდევ ვამუშავებ და მერე კი ამოვკრავ პანღურს.

ენანებოდა ისაკას მთელი ქონების ეკლესიაზე გადაცემა, მემკვიდრე კი ვასიკოს მეტი არვინ იყო. არ იცოდა, რა ექნა.

— ჰოდა რა! იმათი ლოცვა-კურთხევით შემინდობს ღმერთი ცოდვებს? მღვდელი ლოთია, დიაკონი დღედაღამე ბანქოს თამაშობს, მედავითნე ქურდია... ვასიკო ჯერ ბალღია, მეთორმეტე წელში გადადგა, უეჭველად გამოსწორდება. ახლა მას სულელური წარმოდგენებით აბრიყვებენ... დაინახავს, რომ მათში არაფერი ხეირი ჰყრია და მიაფურთხებს იმათ...

ისაკა ძალიან ხარბი იყო. აგროვებდა და აგროვებდა ფულს, როგორც კი შეეძლო, არაფერს არ ერიდებოდა.

ერთხელ მან გირვანქიანი შეუკვეთა მჭედელს, მაგრამ ის სრული გირვანქა არ იყო, ცოტა აკლდა.

— იცოდე, სრული გირვანქა არვის არ აუწონო, ცოტ-ცოტა ყველას დააკელი, მღვდლის მეტს.

— ქურდობა შენ გჩვევია და ისევ შენ იქურდე, — უპასუხა ვასიკომ.

— რაო? რა სთქვი, რა სთქვი, შე ციგანო! მე შენ ღდინს გაგაგდებინებ, შე უმადურო ძაღლო! — და თან კისერში წაჰკრა ხელი.

— ბიძია, ჭკვიანად იყავი, თორემ... ახლა ძველი დრო კი აღარ არის.

— გაგაგდებ, შიმშილით მოგკლავ, შე...

შეშინდა ისაკა: ვასიკომ ყველა მისი საიდუმლო იცოდა, იცოდა, რომ ის პურს მალავდა, ქრთამს იღებდა, არაყს ხდიდა, ტყეს იპარავდა...

— დამღუპავს ეგ ჟღვინტიანი, ისევ მოფერებით თუ გამოვა რამე.

საღამოზე ისაკამ ჰკითხა ვასიკოს:

— რა არის ამ საღამოს თქვენთან, კომკავშირში? ცეკვაა, თუ მღვდლებს არდგენთ, ა, ბიჭო?

— ლექციაა, — უპასუხა ვასიკომ.

— ეგ რაღა ჯანდაბაა? სურათია?

— არა, ავრონომი ილაპარაკებს.

91
ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგიდასთან იჯდა აგრონომი და უამბობდა ხალხს, თუ რა სარგებლობა მოაქვს ტყეს.

— ეჰ, ზღაპრებს გიყვებიან, განა! ვიცით, რა შვილებიც ბრძანდებიან აგრონომები. გლეხების ზურგზე სუქდებიან, რაღა! უფასოა?

ლექცია უფასო იყო, მეორე დღეს კი ფასიანი წარმოდგენა იყო. ვასიკო დაფიქრდა და უთხრა:

— ფასიანია.

— ოჰ, შე ეშმაკო, მაშ ფული გინდა, ა! — გაიღრიჭა ისაკა და ათშაურიანი გადაუგდო.

— აჰა, დაიჭი. შენ გგონია, რომ შენთვის ბიძიას ცუდი უნდა? შენ ჩემ მზეს უნდა ფიცულობდე, შიმშილით სული ამოგვძვრებოდა, შენ კი ისე ხეპრულად მექცევი. თუ ყველაფერს გამიგონებ, შემოდგომისთვის პალტოსაც შეგიკერავ. ახლა კი წადი, გული გაიხალისე, მაგრამ დიდხანს კი ნუ შეჰყვები, იქ კაის არაფერს გასწავლიან და ცხენსაც მოვლა უნდა. რომ დაბრუნდე, თივა მიეცი.

ვასიკოს კრინტიც არ დაუძრავს, მოისმინა ბიძიას დარიგება, აიღო ათშაურიანი და ქოხ-სამკითხველოს მიაშურა.

გაზაფხულის მშვენიერი დღე იყო. ტყე საამურად შრიალებდა, სიოს ყვავილების სუნნელება მოჰქონდა, ათასგვარად აფერდებული მინდორ-ველი თვალს იტაცებდა. გლეხები ხვნა-თესვას შესდგომოდენ, მზე თავს წამოსდგომოდა ახლადგაღვიძებულ დედამიწას და სახეზე სიამოვნების ღიმი გადაჰკროდა. ჩიტუნები სიხარულით დამთვრალიყვნენ და ცეტებივით ხტოდენ ტოტიდან ტოტზე. მათი ჟღურტული სიხარულით უვსებდა გულს ვასიკოს, ის ხარბად ისუნთქავდა მაცოცხლებულ ჰაერს. მობუტბუტე მდინარე თავისკენ ეპატიჟებოდა, მაგრამ ის მაინც ქოხ სამკითხველოსკენ მიაბიჯებდა.

ქოხ-სამკითხველო სავსე იყო. აქ შეკრებილიყნენ ქალები, მამაკაცები, ბავშები. მაგიდასთან იჯდა აგრონომი და უამბობდა ხალხს, თუ რა სარგებლობა მოაქვს ტყეს. ვასიკომ აქ პირველად გაიგო, რომ, თუ ტყე გაიჩეხა, მდინარე დაშრება. მან იცოდა, რომ წინეთ მათი მდინარე გაცილებით უფრო დიდი ყოფილა, მაგრამ რამ დააპატარავა ის, მას წარმოდგენაც არ ჰქონდა.

აგრონომი ლაპარაკობდა აგრეთვე რაღაც მჟავბადზე. ვასიკომ ვერაფერი გაიგო, გარდა იმისა, რომ მჟავბადი აირია, მას ჩვენ ვსუნთქავთ და თუ ჰაერში მჟავბადი ცოტაა, მაშინ ადამიანს სული ეხუთვის. მართლაც, აქ რომ მოდიოდა, ტყიდან ისეთი სიო ჰქროდა, ისეთი კაი ჰაერი იყო, ისეთი კაი, რომ სუნთქვით ვერ გაძღებოდი, იმ სოფელში კი, სადაც ტყე არ იყო, ჰაერში მხოლოდ ნეხვის სუნი იდგა.

აგრონომი დიდხანს ლაპარაკობდა. ის ამბობდა, თუ რამდენი ტყეა ჩვენს რესპუბლიკაში, უამბო ხალხს, თუ რა უნაიროდ იჩეხებოდა ტყე წინეთ, რადგან ის მდიდრების ხელში იყო, ახლა კი ტყე ხალხს ეკუთვნის, მაშასადამე, ის უნდა შევინახოთ, სულ კი არ უნდა ავჩეხოთ, ყოველ წელიწადს ტყის მხოლოდ ერთი ნაწილი უნდა მოიჭრას, ახალი ხეები უნდა დაირგას, საქონელს არ უნდა მოვაჭმევინოთ ის...

ლექცია გვიან გათავდა. კომკავშირელებმა დააგინეს, ხვალ ტყის დღე მოეწყოთ და პატარა ხეები დაერგოთ გზების პირად და ეზოებში.

შინ რომ ბრუნდებოდა, ვასიკო ბიძა ისაკაზე და აგრონომზე ფიქრობდა.

„ნეტა რაი უნდა ბიძაჩემს, ტყეს რომ იპარავს? შეშა სამ წელიწადს გვეყოფა, შენობებს ჯერ შეკეთება არ სჭირდება, ის კი ჩუმად სჩეხს ჩამორთმეულ ტყეს. კარგი, რომ ჩამოართვეს, თორემ სულ გას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეხდა. მაშინ მდინარეც დაშრებოდა და მჟავბადიც არ იქნებოდა“.

ვასიკოს გაეცინა, როდესაც ეს უცნაური სიტყვა „მჟავბადი“ გაახსენდა.

ისაკამ ვასიკო შუადღისას გააღვიძა

— ადექი, კომუნისტო! სამხრობა გადავიდა, შენ კი ისევ დაფა-ზურნას უკრავ ცხვირით. ძაან გაუბერიხარ იმ აგრონომს! წავიდეთ, სამუშაოა.

ვასიკო უცბად წამოხტა ფეხზე და საჩქაროდ დაიბანა ხელ-პირი. მალე, ის და ისაკა გზას გაუდგენ. ცოტა რომ გაიარეს, ვასიკომ დაინახა, რომ ძირს ხალხი ირეოდა, ხელში პატარა ხეები ეჭირათ, ორმოებს თხრიდენ, ყველა ფაციფუცობდა.

— ჰოო, ეს ტყის დღეა,—გაახსენდა ვასიკოს გუშინდელი ლექცია.—კომკავშირელები ხეებს რგავენ, რომ უფრო მეტი მჟავბადი იყოს და მდინარეც არ დაშრეს.

ვასიკოს სულით და გულით უნდოდა იმათთან ყოფნა, ორმოების თხრა, ხეების დარგვა, მაგრამ რას იზამდა, ბიძას უნდა წაჰყოლოდა.

იმ დღეს ვასიკო მთვრალივით დადიოდა, საქმეს უგულოდ ეკიდებოდა,

— რა ღმერთი გიწყრება, რა მოგვივიდა, დამხრჩვალი ქათამივით რომ დადიხარ?—შეუტია ისაკამ.

— ავადა ვარ,—უპასუხა ვასიკომ.

— ვიცი, რა ავადაც ხარ! მთელი ღამე რომ გატეხე, ახლა ძილი მოგერია და ის არის შენი ავადმყოფობა. აწი აღარ გაგიშვებ იმ ოხრებთან, ლაილაის მეტს რას გასწავლიან. იმათი საქმეა ყბედობა და მდიდრების გაფცქვნა.

როდესაც შინ ბრუნდებოდენ, ისაკამ წარბშეჭმუხვნით უთხრა ვასიკოს:

— დაეგდე, გამოიძინე, ღამე უნდა ვიმუშაოთ.

დაწვა ვასიკო და მას ტკბილად ჩაეძინა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მას სახე დაუნაოჭდა: დაესიზმრა, თითქოს მდიდრებმა სულ გაჩეხეს, რაც ტყე იყო, მდინარეები დაშრა, ჰაერი ისეთი სულშემხუთავი იყო, რომ სუნთქვაც კი სჭირდა. ბორგავს ვასიკო, ჯავრით ნაღველი უსივდება, რომ ასე გაანადგურეს ტყე...

— ადე, ადე, გეყოფა ხვრინვა, უნდა წავიდეთ,- აჯანჯღალებდა მას ისაკა.

— სად უნდა წავიდეთ?

— შენი საქმე არ არის, მერე დაინახავ!

მალე ისინი უკვე გზას ადგენ. ისაკამ ნაჯახი და ხერხი წამოიღო. მდინარეს ნისლი დასწოლოდა, ტყე საიდუმლოდ შრიალებდა, თითქოს ხეები ისაკასა და ვასიკოს მოსვლას ამცნობდენ ერთმანეთს.

ისაკა ჩამორთმეული ტყისკენ მიეშურებოდა. ის ყოველდღე სჭრიდა იქ ჩუმად ხეებს და ჩუმადვე ჰყიდდა. მან გადასწყვიტა სულ გაეჩეხა ის ტყე. ახლა მას ორი ფიქვი ჰქონდა მიზანში ამოღებული.

„დღეს ტყის დღეა. ვინ იფიქრებს, თუ დღეს ვინმე გასჩეხს ტყეს ქურდულად. მერე და რა ქურდობაა: ტყე ჩემია, წვითა და დაგვით მიყიდნია. მაშასადამე, მე უნდა გავჩეხო, სხვებს რათ უნდა დარჩეს? არაფერია, სულ ასიოდე ხე დარჩა კიდევ... ამ წელიწადში სულ ერთიან ავკაფავ. არა, ძალიან არ დაუღეს პირი სხვის ნაოფლარს!“—ფიქრობდა ისაკა.

დაიღრიალა ისაკამ და გააწნა სილა ვასიკოს.

92

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა ხნის შემდეგ მივიდენ. ისაკამ თვალი გადაავლო ცალკე მდგომ ორ ფიჭვს და ულვაშებში ჩაიცინა.

— აბა, მოჰკიდე ხელი ხერხს,—უთხრა მან ვასიკოს.

— არა, ბიძია, არ შეიძლება!

— რა?—გადაუბრიალა თვალები ისაკამ.

— მე არ მოვჭრი, არ შეიძლება, აგრონომმა სთქვა ..

— რას ბოდავ, ხომ არ გადაირიე!

— მჟავბადი არ იქნება... გაიგუდები...

— მე შენ გაჩვენებ თვალის სეირს... შენც და იმ შენ აგრონომსაც.

და ისაკამ მოტეხა ტირიფის წკნელი.

— ვერ მოჭრი, ვერა,—დაუყვირა ვასიკომ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.— დღეს ტყის დღეა, ხალხი ხეებს რგავს, შენ კი ჭრი... ქურდო... ქურდო...

— გაჩუმდი,—სისინით უთხრა ისაკამ,—ტყის მცველი გაიგონებს...

— ქურდო .. ქურდო... გაჰკიოდა ვასიკო.—ჰეი, ყარაულო!

— გაგაგდებ, გაგაგდებ, შე უმადურო ძაღლო!

მივარდა ისაკა და პირი დაუმუწა, მაგრამ ვასიკო გაუსხლტა და უფრო ხმამაღლა დაიწყო ყვირილი:

— გამაგდე, მე თვითონაც არ მოვიცდი შენთან ..

არ მინდა შენი ქონება.. ძარცვა გლეჯითაა ის შეძენილი, ნაქურდალია, ნაქურდალი... ქურდო... ქურდო...

— ურ—დო, ურ—დო...—გამოეხმაურენ მთები.

— ყოფას გიტირებ, დამაცა,— შენს ოხტში ამოვალ,—დაიღრიალა ისაკამ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გააწნა სილა ვასიკოს, შემდეგ კი მოტრიალდა და შინისაკენ მოუსვა.

— ქურდო... ქურდო... ბურჟუა... წურბელა... ქურდო...

ესმოდა მას გაოფთრებული ვასიკოს ხმა.

— ურ - დო... ურ—დო... ელა . -მისძახოდენ მთები.

ი. კ.

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხული სოფლად.

გადაშლილი სოფლის გული
მზის სხივებით დაისერა;
ახმაურდა მინდორ-ველი,
აგუზგუზდა შრომის კერა.
მაღლა მთიდან ნაკადული
გადმოეშვა დაბლა ბარად,
და პატარა ბილიკები
წვიმის წყლებით გადაფარა.
ტყემაც ტკბილად ბანი მისცა
ამ საერთო ზეიმს სოფლად,
და მხურვალე დედამიწა
გაიჟღენთა შრომის ოფლად.
ფრინველებმაც ხის შტოებზე
საბუდრების იწყეს ძებნა,
და ურმების სიმრავლისგან
ჟრიამული მორთეს ვზებმა.

ზამთრის ქარით დაფლეთილი
მთა ფოთლებში ჩაესვენა;
სადღაც, ქორფა დაფნებიდან,
შაშმაც ნაზად მორთო სტვენა.
ყვავილებით დაბურულმა
ბუჩქმა ყელი მოიღერა,
სიხარულით დაფარული
აგუგუნდა შრომის კერა.
გლეხი თოხებს ჩარხზე ლესავს
და ულელში ხარებს აბამს;
იქვე ახლოს მისი ვაჟი
ხალხს უყვება ახალ ამბავს.
გაფურჩქნული გაზაფხული
ყვავილების პერანგს კერავს,
რომ გაათბოს ქვეყნის გული,
რომ დაანთოს შრომის კერა.

შ. კუჭავა

საქართველოს სახელმწიფო ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიწის წიაღში*)

გაზაფხულის დილაა, გრილი და ნამიანი. არც ერთი ღრუბლის ნაჭერი ცაზე. მხოლოდ აღმოსავლეთით, იქ, საიდანაც ეს არის ამოცურდა ცეცხლოვანი მზე, ჯერ კიდევ დაჯგუფულან განთიადის ვეჟანი ღრუბლები, რომლებიც თანდათან დნებიან და იცრიცებიან.

ყველაფერი ბრჭყვინავს, ნებივრობს და მხიარულად მიიწევს მზისკენ. მხოლოდ აქა-იქ ღრმა და ვიწრო ღელეებში, თხელი ბუჩქნარით მოსილ ფრიალო ფლატეებს შორის, ჯერ კიდევ წვანან ნესტიანი მოლურჯო ჩრდილები, გასული ღამის მოწმენი.

მაღლა ჰაერში, სადაც თვალი ვერ მიწვდენია, თრთიან და წკრიალებიან ტოროლები.

მოუსვენარმა კუტიკალიებმა კარგა ხანია ატეხეს აშურებული და ხმელი ჭრიჭინი.

ველმა გაიღვიძა და გაცოცხლდა, ღრმად და ძლიერად სუნთქავს.

ამ დილის სუტურფეს მკვეთრად არღვევს გოლოლობოვის მაღაროს ჩვეულებრივი ექვსსაათიანი გუგუნი საყვირის, რომელიც ხრინწიანად, გაუთავებლად ყვირის, თითქოს რაღაცას ჩიოდეს. ეს ხმა ხან ძლიერად ისმის, ხან სუსტად; ზოგჯერ კი სრულებით სწყდება, მიწაში მიდის და უცბად ისევ ახალი ძალით ამოვარდება.

ველის უზარმაზარ მწვანე ჰორიზონტზე მხოლოდ ერთი ეს მაღაროა ადამიანის შრომის მოწმე, შავი ლობეებით და ამართული მილით. მაღალი, გაჭვარტლული მილები შავს და ჭუჭყიან კვამლს ანთხევენ განუწყვეტლივ; შორიდანვე მოისმის ჩაქუჩების ცემის ხშირი ხმაური და ჯაჭვების გრიალი.

აი, ახლა უნდა ჩავიდეს მიწაში მუშების მეორე ჯგუფი. მაღაროს ეზოში ორასამდე კაცი დაჯგუფულა ქვანახშირის გროვებს შორის. გაშავებული, ნახშირით გაჟღენთილი, მთელი კვირაობით დაუბანელი სახეები, ყოველნაირი ფერის ძონძები, ქალამნები, წაღები, რეზინის ძველი კალოშები და შიშველი ფეხები,—ყველა ეს ერთმანეთშია არეული აჭრელებულ, მოფუსფუსე და მოყაყანე ბრბოში.

მაგრამ ბრბო თანდათან ცოტავდება, ვიწრო ხის კარებში გადიან; კარებს წარწერა აქვს მიკრული: „სალამფე“. სალამფე ოთახი მთლად გაჭედილია მუშებით. ათი კაცი ზის გრძელ მაგიდასთან და ზეთით ავსებს შლშის ლამფებს, რომელთაც გარედან მავთულის საფრთხილო ბუდეები აქვთ ჩამოცმული.

მიიღებს რა ლამფას, მუშა მეორე ოთახში გადის, სადაც უფროსი მეთვალყურე ჩანიშნავს მის გვარს დღიურ ნუსხაში და ორი ხელქვეითი კი გულმოდგინედ უსინჯავს ჯიბეებს, ტანისამოსს, ფეხსაცმელს, რომ მაღაროში წუმწუმა, თამბაქო, ან კვესი არ ჩაიტანოს. დარწმუნდება რა მეთვალყურე, რომ მუშას აკრძალული ნივთები არა აქვს, დაუქნევს თავს და მოწყვეტით ეტყვის: „გაიარე“.

*) ეს მოთხრობა ეკუთნის ბურჟუაზიულ მწერალს. მასში მოცემულია ბურჟუაზიული საზოგადოების დროის ცხოვრება. წამკითხველები ნათლად დაინახავენ მასში ბურჟუაზიული საზოგადოების სისაძაგლეს, თუ როგორ ეწევიან ბავშთა შრომის ექსპლოატაციას, როგორ მძიმე პირობებში უხდებათ ბატარა პროლეტარებს მუშაობა მიწის სიღრმეში—მაღაროში. დღეს ასეთ მოვლენას არ აქვს ადგილი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებაში, რომელმაც მუშათა კლასი გაათავისუფლა მყვლეფელების ბრჭყალებისაგან. მოთხრობას ჩვენ ვათავსებთ მხოლოდ იმისთვის, რომ ჩვენმა ნორჩი თაობამ, პიონერებმა, რომლებიც ძველ დროს არ მოსწრებიან, იცოდენ, თუ რა პირობებში ხდებოდათ მათ თანამოძმეებს წინათ ცხოვრება.

რედაქცია.

93 ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ მუშა შემდეგი კარით გრძელ და განიერ გადახურულ დერეფანში გადის, რომელიც მთავარი ჭის ზემოთაა.

დერეფანში შემცვლელთა გახურებული ფუსფუსია.

პატარა ვასო მთავარი ჭის ნაპირას დგას.

მაღაროში ჩასასვლელი ჭის ოთხკუთხოვან ნახვრეტში ჯაჭვების საშუალებით ამოდის და ჩადის ორი რკინის ბაქანი. ერთი ბაქანი რომ ამოდის, მეორე ჩადის ასეული საჟენის სიღრმეზე.

ქვემოდან წამოსული ბაქანი დატვირთულია ჯერ კიდევ ნოტიო ქვანახშირიანი რონოდებით. ნახშირი ეს არის გამოანგრიეს იქ, მიწის წიაღში.

ერთ წუთში ჩამოღებულია რონოდები ბაქნიდან, დადგმულია ლიანდაგზე და სწრაფად გატანილია ეზოში დასაცლელად, ცარიელი ბაქანი კი მუშებით ივსება.

სამანქანო განყოფილებას ეძლევა ნიშანი ელექტროენის ზარით და ბაქანი საშინელი გრიალით ქრება, ვარდება ქვევით.

გადის წამი, მეორე — და არაფერი ისმის, გარდა მანქანის და ჯაჭვების ჩხრიალისა. მალე მეორე ბაქანი ამოვარდება ზევით, მაგრამ ქვანახშირით კი არა, არამედ მთლად გაჭედილი სველი, შავი და სიცივისაგან აკანკალებული ხალხით. ამგვარი შეცვლა ხალხის და ქვანახშირის სწრაფად გრძელდება, მუდმივად.

აგერ პატარა ვასო, რომელსაც მუშებმა ზედმეტ სახელად კირპატი უწოდეს, მთავარი ჭის ნაპირას დგას, საიდანაც წამდაუწუმ ამოვარდება ხოლმე ხალხი და ქვანახშირი; ვასო გაშტერებული იყურება ქვევით.

ვასო 12 წლის იქნება. ქვანახშირის მტვერისაგან მთლად გაშავებულ სახეზე წყვილი ცისფერი თვალი მოუჩანს, სანდომიანი და მიამიტი; ცხვირი ზევით აქვს აშვერილი.

ისიც ახლა უნდა ჩავიდეს მაღაროში, მაგრამ მისი ჯგუფის მუშებს ჯერ თავი არ მოუყრიათ, ამიტომ იცდის.

ნახევარი წელია სულ, რაც ვასო მაღაროში მოვიდა შორეული სოფლიდან.

აქამდის ვერ შეჩვევია ის მაღაროს სამუშაოს და ზნე-ჩვეულებას. მაღაროს რთული და მძიმე სამუშაო მაჯლაჯუნასავით აწევს მის ჭკუა-გონებას და მაღაროს რაღაც უცნაურ ქვეყნად ეჩვენება, ზღაპრულ ძალათა ბინად.

ყველაზე საიდუმლო არსება ამ ქვეყანაში, უდაოდ, მემანქანეა: ტყვავის ქურთუკი აცვია მას, პირში სიგარა აქვს, ცხვირზე ოქროს სათვალეები, წვერიანია და გოროზი. კარგად ხედავს მას ვასო ფანჯარაში.



კარგად ხედავს ვასო მემანქანეს ფანჯარაში

რა კაცია ეგ მემანქანე, ნეტავი? — ეკითხება თავის თავს ვასო; მაგრამ, კაცი კია? აგერ, ადგილიდან არც კი იძვრის, არც სიგარას იღებს პირიდან, მაგრამ რაღაც ფოლაქს აჭერს ხელს და უზარმაზარი მანქანა თვალის ერთ დახამხამებაში იწყებს მო-

ძრაობას, აქამდის უძრავი და წყნარი; აჩხარუნ-დენ ჯაჭვები და გრიალით წავიდა ქვევით ბაქანი, შეინძრა მთელი მაღაროს ხის შენობები. საკვირველია, ის კი ზის თავისთვის, თითქოს არაფერი მომხ-დარიყოს, და აბოლებს თამბაქოს. აგერ, კიდევ რა-ღაცას დააჭირა თითი, მოსწია უკან ფოლადის ჯოხი და ერთს წამში გაჩერდა ყველაფერი, მიწყნარდა, ჩაჩუმდა... იქნება შელოცვა იცის?—შიშშეპარებული ფიქრობს ვასო და მემანქანეს შეჰყურებს.

მეორე უცნაური და არაჩვეულებრივი უფლებით აღჭურვილი პირი პავლე ნიკიფორეს ძეა, სრული ბატონ-პატრონი ბნელი, ნესტიანი და საშინელი მი-წისქვეშა სამეფოსი, სადაც აქა-იქ კრთიან შორე-ული ჩირაღდნების წითელი წერტილები. მისი ბრძა-ნებით კეთდება ახალი გვირაბები და გასავალ-გა-მოსავლები.

მაგრამ ყველაზე ძლიერი, ვასოს ფიქრით, მა-ღაროს დირექტორია — ფრანგი, კარლ ფრანცის ძე. მას ყველაფრის გაკეთება შეუძლია, ყველაფრის, რასაც კი მოინდომებს.

— ჰეი, კირპატო, ჩადი, რაღა! — მოესმა ვასოს ზედ ყურთან უხეში ხმა.

ვასო შეკრთა და ბაქანს ეცა; სწორედ ის ჯგუ-ფი ჩადიოდა ქვევით, რომელშიაც თვითონ ხელქვე-ითად იყო. უშუალო მისი უფროსები იყვნენ ძია ანდრო და ვანო „ბერძენი"; მათთან ერთად ეძინა ყაზარმის ტახტზე და მუშაობდა.

ბაქანზე ვასოს გარდა 5 კაცი ავიდა. გაისმა საყვირის ხმა და იმ წამს ვასომ მთელ სხეულში არაჩვეულებრივი სიმსუბუქე იგრძნო, თითქოს ფრთე-ბი გამოესხა. ბაქანი გრიალით ქვევით გაექანა, ჭის აგურით ნაშენი კედელი კი რუხი ფერის ერთ მთლი-

მუშები ქვანახშირით დატვირთულ რონოდებს აგორებდენ

ან მასად გადაიქცა და ზევით მირბოდა. მერე უცბად სრული სიბნელე დამყარდა ლამფები ძლივს კრთე-ბოდენ გაჩუმებული წვერიანი მუშების ხელში. შემ-დეგ ვასომ იგრძნო, თითქოს ქვევით კი არა, ზევით მიექანებოდეს. ამ უცნაურ ფიზიკურ მოტყუებას გა-ნიცდის ყველა გამოუცდელი ადამიანი, როცა ჭის შუანაწილს მიაღწევს ხოლმე, მაგრამ ვასო კარგა ხანს იყო ამ მოსაჩვენარ განცდაში, რომელიც თავ-ბრუს ახვევდა.

ბაქანის სვლა შემცირდა და ბოლოს მიწაზე დადგა.

ზევიდან ჩანჩქერივით ჩამოდიოდა მთავარ ჭა-ში ქვენიადაგის წყაროები და ამიტომ მუშები სა-ჩქაროდ გადმოხტენ ამ კოკისპირული წვიმის ასაც-დენად.

ქვემოთ მყოფი მუშები, მუშამბოვან ღართებში გახვეულნი, ბაქანზე ქვანახშირით დატვირთულ რო-ნოდებს აგორებდენ.

ა. კ—ი.

(დასასრული იქნება)

94

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-IV ყრილობა.

28 მარტს გაიხსნა და 5 აპრილს დაიხურა სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-IV-ე ყრილობა. ეს ყრილობა უეჭველად დიდ საქმეს შეასრულებს ჩვენი ქვეყნის განვითარების და საბჭოთა ხელისუფლების შემდგომი განმტკიცების საქმეში. ყრილობამ ჯამი გაუკეთა უკანასკნელ წლებში შესრულებულ აღმშენებლობას და მისი მერმინდელი გაშლისათვის მოგვცა გარკვეული სახელმძღვანელო გეგმები, დასახა ნათელი გზები.

ყრილობას მოუხდა შეკრება მაშინ, როცა მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობა უკვე აღდგა, ომამდე არსებულ დონეს გაუთანასწორდა და ამავე დროს მეტად მტკიცედ შევდგით ფეხი მისი შემდგომი წინსვლის გზაზე.

ყრილობაზე გადაიშალა ამ საალმშენებლო მუშაობის სრული სურათი. როგორც მთავრობის ანგარიშში, ისე მოხსენებებში მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის შესახებ ნათლად იყო მოცემული საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები. უდიდესია ეს მიღწევები, თუ მხედველობაში მივიღებთ ძველი რეჟიმიდან მემკვიდრეობით მიღებულ ძირფესვიანად მოშლილ და დანგრეულ სახალხო მეურნეობას, საშვალებათა ნაკლებობას და იმ შედარებით მცირე დროს, რომელმაც განვლო მესამე ყრილობის შემდეგ.

მრეწველობის ომამდე არსებული დონე აღდგენილია და წარმოებს სრულიად ახალი სამრეწველო მშენებლობა. ომის წინანდელ მდგომარეობას საერთოდ გავუთანასწორდით სოფლის მეურნეობაში, ხოლო ზოგიერთ დარგში კიდეც გადავაცილეთ მას. თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა მუშათა და გლეხთა ნივთიერი მდგომარეობა. სათანადო ყურადღება ექცევა ხალხის განათლების და ჯანმთელობის საკითხებს. ერთი სიტყვით, არ მოიპოვება ჩვენი ქვეყნის და ხალხის ცხოვრების არც ერთი დარგი, რომელსაც არ დასტყობოდეს მუშურ-გლეხური ხელისუფლების შემოქმედებითი ხელი და რომელშიაც არ იყოს შეტანილი საგრძნობი ცვლილებები, გადახალისება მშრომელთა ინტერესების მიხედვით, სოციალიზმის გამარჯვების სასარგებლოდ.

რა თქმა უნდა, ეს ოდნავაც არ ნიშნავს იმას, თითქო ამით შეგვიძლია დაკმაყოფილება, თითქო შემდეგისათვის ცოტა რამ დაგვრჩენოდეს გასაკეთებელი.

ყრილობამ თავის რეზოლუციებში ჩამოაყალიბა მომავალი მუშაობის გეგმა და მიმართულება. როგორია ეს მიმართულება? მთელი საბჭოთა კავშირის მთავარი ამოცანა დღეს, როგორც ვიცით, არის ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მძიმე მრეწველობის განვითარება. საქართველოს ეკონომიური განვითარებაც, თავისთავად ცხადია, ინდუსტრიალიზაციას მოითხოვს.

ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სოფლის მეურნეობის საკითხებს. და ეს გასაგებიცაა. სოფლის მეურნეობას თავისი ხვედრითი წონით პირველი ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. მრეწველობის გაშლა, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია შეუძლებელია სასოფლო მეურნეობის განვითარების გარეშე.

ამ ამოცანის განხორციელება და, საერთოდ, სოფლის მეურნეობის აყვავება მოითხოვს მიწათმოწყობის ჩატარებას, აგრონომიული ცოდნის გავრცელებას, სოფლის მეურნეობათა უზრუნველყოფას სათანადო იარაღებით, მანქანებით და მასალით. მაგრამ ყველაფერი ამის განხორციელება შეუძლებელი გახდება, თუ გლეხობა არ გაერთიანდა. უღარიბეს და ღარიბ გლეხთა კოოპერატიული შეკავშირება, გლეხთა მეურნეობის განსაზოგადოებრივება (კოლექტივიზაცია)—ი ძირითადი გზა, რომლითაც უნდა წავიდეს სოფელი.

ყრილობის ყურადღება აგრეთვე მთელ რიგ სხვა საკითხებსაც ჰქონდა მიპყრობილი. ყრილობამ მათაც სათანადო პასუხი გასცა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობამ ერთხელ კიდევ ყველასათვის ნათელჰყო, რომ ჩვენ მტკიცედ და შეურყეველად მივდივართ ჩვენი მიზნებისაკენ, რომ ჩვენ შემდგარი ვართ სოციალისტური აღმშენებლობის ფართე გზებზე.

შე—ლი



ჩვენი ძმები მსოფლიოში.

ინგლისის პიონერები იბრძვიან ჩინეთის ხალხის განთავისუფლებისათვის.

ინგლისის ნორჩ ამხანაგთა ცენტრალურმა ბიურომ გამოუშვა ორი მოწოდება — ერთი წინამძღოლთათვის და ერთი პიონერთათვის.

ამ ფურცლებში ისინი მოუწოდებენ პიონერორგანიზაციის ყველა წევრებს, რომ მათ განუმარტონ პროლეტარ ბავშვებს და თავიანთი ოჯახის წევრებს ინგლისის ბურჟუაზიის მტაცებლური მოქმედება ჩინეთის ხალხის მიმართ.

მოწოდებაში ნათქვამია: „ბოლდუინის კაპიტალისტური მთავრობა აგზავნის ინგლისის მუშებს, ჯარისკაცებს და მეზღვაურებს, რომ ესროლონ ჩინეთის მუშებს და გლეხებს, რომლებმაც გადასწყვიტეს აუჯანყდენ უცხოელ მჩაგვრელებს და გაათავისუფლონ ჩინეთი მათი მონობისაგან. თქვენ ხომ დარწმუნებული ხართ, რომ ჩინელები მართალი არიან.

ეცადეთ, თქვენ ძმას ან მამას, რომელსაც აგზავნიან ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად, შეაგნებინოთ შემდეგი: ჩინელები იბრძვიან იმისათვის, რომ გაათავისუფლონ მონობისაგან თავისი თავი და თავისი ბავშვები. ინგლისელი ჯარისკაცები, რომლებიც იგივე მუშები არიან, უნდა დაეხმარონ ჩინეთის მუშებს, რომ მათ დაამარცხონ ინგლისის ბურჟუაზია... განუმარტეთ თქვენს მამებს და ძმებს, რომ ეს ომი უნდა შეწყდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გარდაიქცევა საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ ომად. თუ ჩინელები გაიმარჯვებენ, მაშინ ისინი შესძლებენ გააუმჯობესონ მუშების მდგომარეობა, იზრუნებენ თავიანთ სწავლა-განათლებაზე და დაეხმარებიან საბჭოთა რესპუბლიკებს უცხოეთის კაპიტალისტების თავდასხმისაგან თავდაცვის საქმეში“.

ჩინეთის რევოლუციონური მოძრაობის პირველ დამხმარედ გამოვიდენ ინგლისის პიონერები. მათ მაგალითს სხვა ქვეყნების პიონერებმაც მიბაძეს.

მაროკოელი (აფრიკა) ბავშვები.

95
ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ მუშაობას აწარმოებს პიონერ-კოლექტივი ოქტომბრელთა ჯგუფში.

თითქმის ყველა პიონერ-კოლექტივთან არსებობს ოქტომბრელთა ჯგუფები. ესენი არიან ბავშვები 8—11 წლამდის. ჩვენ ვიცით, რომ, პიონერ-კოლექტივის ორგანიზაციული დებულების თანახმად, თვითეულ ჯგუფში უნდა იყოს 25 ოქტომბრელი, დღეს კი ბევრ კოლექტივში ასე არ არის, ზოგან არის მეტი, ზოგან კი ნაკლები. უნდა ვეცადოთ და მომავალში გამოვასწოროთ ეს ნაკლი.

ოქტომბრელები პიონერებად არ ითვლებიან. ისინი ემზადებიან, რომ მომავალში გახდენ პიონერები. რადგან ეს ასეა, საჭიროა პიონერ-კოლექტივმა ერთად და აგრეთვე ყველა პიონერებმა ცალ-ცალკე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ოქტომბრელთა შორის მუშაობას. პიონერებს უნდა ახსოვდესთ, რომ ოქტომბრელები არიან მათი შემცვლელნი, ამისთვის უნდა მოამზადონ ისინი, რომ ღირსნი იყვნენ პიონერად გახდომის.

ჩვენ ვიცით, რომ ოქტომბრელები არიან სულ პატარა ბავშვები, რომელნიც განსხვავდებიან პიონერებისაგან თავისი განვითარებით, სხეულის სიმაგრით და სხ. მათ შორის მუშაობას არ შეიძლება ექნეს ისეთი ხასიათი, როგორიც პიონერებთა კოლექტივში მუშაობას აქვს. მაგალითად, ის, რაც გასაგებია პიონერისთვის, შეიძლება გაუგებარი იქნეს ოქტომბრელისთვის. მას, რის გაკეთებაც შეუძლია პიონერს, ვერ გააკეთებს ოქტომბრელი, რადგან ის ჯერ კიდევ პატარაა. ამიტომ პიონერებმა ოქტომბრელთა შორის მუშაობა უნდა შეუფარდონ ოქტომბრელების მოთხოვნილებას და თავისებურებას.

ჩვენ ხშირად ვხედავთ ბავშვებს, ოქტომბრელებს, რომელნიც ჯგუფად შეკრებილან პიონერ კოლექტივის ბინაზე, მღერიან პიონერთა სიმღერებს, თამაშობენ და ყოველმხრივ ბაძავენ პიონერებს. ეს ხდება იმიტომ, რომ ოქტომბრელები, რომელთა თვალწინ ხდება კოლექტივის მთელი მუშაობა, ითვისებენ მას. ბავშვებში მიმბაძველობა არის განვითარებული. ოქტომბრელები ბაძვენ პიონერებს. იქ, სადაც კარგი კოლექტივებია, ენერგიული პიონერებია, რომელთაც ახასიათებს დისციპლინა, ზრდილობიანობა. ოქტომბრელებიც ამასვე ეჩვევიან. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს, რომ ეს მიჩვევა, შეთვისება ზერელედ არ ხდებოდეს. ამიტომ პიონერ-კოლექტივმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ოქტომბრელთა შორის მუშაობის შინაარსიანად და გეგმიანად ჩატარებას. ოქტომბრელთა სამეცადინო კრება არ უნდა გაგრძელდეს $1^1/_2$ სათზე მეტი. თუ გაგრძელდება, არავითარ ნაყოფს არ მოიტანს რადგან ბავშვები დაიღლებიან და გულდასმით არ მოეკიდებიან მეცადინეობას.

როგორი სახის მუშაობა უნდა ტარდებოდეს ოქტომბრელთა ჯგუფში?

მათ შორის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საუბრების ჩატარებას, მაგრამ უნდა ვიცოდეთ ისიც, თუ როგორ უნდა ჩავატაროთ ესა თუ ის საუბარი. ხშირად ხდება ასე: პიონერს, რომელიც ატარებს საუბარს, ავიწყდება, რომ მას საქმე აქვს პატარა ბავშვებთან, ოქტომბრელებთან და მოჰყვება ისე, თითქოს მას პიონერები უსმენდენ. ესე იგი, დაიწყებს ისეთი ენით ლაპარაკს, რომელიც ოქტომბრელებისთვის გაუგებარია. რა თქმა უნდა, ასე საუბრის ჩატარება არავითარ ნაყოფს არ დასტოვებს. ყოველი საუბარი უნდა ტარდებოდეს უპირველესად ყოვლისა ოქტომბრელებისთვის გასაგები ენით. ეს საუბარი არ უნდა გავაგრძელოთ ძალიან დიდხანს, უნდა ვეცადოთ მალე დავამთავროთ ის, მაგალითად, საუბარი უნდა გაგრძელდეს არა უმეტესი 15 წუთისა.

როგორი საუბრები უნდა იქნას ჩატარებული ოქტომბრელთა ჯგუფში?

ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი მდგომარეობაა თვით ჯგუფში; თუ ჯგუფი ახლად ჩამოყალიბებულია, ყველაზე უმჯობესია, რომ საუბრები დავიწყოთ ოქტომბრელთა კანონების და ჩვეულებების შესწავლით—უპირველესად ყოვლისა ოქტომბრელებმა თავიანთი კანონები და ჩვეულებები უნდა ისწავლონ. შემდეგ უნდა გადავიდეთ ისეთ საუბრებზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ბავშვებისთვის. უნდა ჩატარებულ იქნას საუბრები რევოლუციის ბელადების ბიოგრაფიების გასაცნობად, წითელი არმიის მნიშვნელობის შესახებ და სხვა. საუბრები უნდა იქნას გადაცემული ცოცხალი ენით, მარტივად. საუბრის შინაარსი აუცილებლად ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას უნდა უკავშირდებოდეს. უნდა ვეცადოთ, რომ ჩატარებული საუბარი ბავშვებს დაამახსოვრდეს; ამ მიზნით უნდა ჩავწეროთ ხოლმე საუბრის შესანიშნავი ადგილები.

პიონერებს შეუძლიათ აგრეთვე წაუკითხონ ოქტომბრელებს მხატვრული მოთხრობები. დღეს ჩვენ

ძალიან ბევრი ახალი მოთხრობა გვაქვს, მაგრამ ამას არამცთუ ოქტომბრელი, ბევრი პიონერიც კი არ კითხულობს. ეს ძალიან დიდი ნაკლია. პიონერები ყოველ სამეცადინო კრებაზე უნდა უკითხავდენ ოქტომბრელებს მხატვრულ მოთხრობებს. თუ ვერ იშოვით ასეთ მოთხრობებს, მაშინ ჟურნალ „პიონერში“ რომ მოთხრობები იწერება, ეს რომ წაუკითხოთ, ამასაც დიდი მნიშვნელობა ექნება.

გარდა ამისა, ოქტომბრელებს უნდა შევასწავლოთ პიონერთა სიმღერები. ხშირად ხდება, რომ ოქტომბრელები სიმღერებს პიონერთა გარეშე სწავლობენ. ცხადია, ამას არ ექნება აღმზრდელობითი მნიშვნელობა. როდესაც პიონერები თვითონ აუხსნიან და შეასწავლიან სიმღერას, ეს უფრო კარგი იქნება. უნდა აუხსნათ ოქტომბრელებს, თუ რაზე არის დაწერილი ეს სიმღერა, რას გამოხატავს ის და სხ.

ოქტომბრელებ ძალიან ჩვევიათ აგრეთვე ლექსების შესწავლა. მათ უნდა შევასწავლოთ პიონერული ხასიათის ლექსები და ინსცენირობები.

ჩვენ ვიცით, რომ ბავშებს ძალიან უყვართ ფიზიკური ვარჯიში, ამასთანავე ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშების გაჯანსაღებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ ვარჯიშობას. ფიზიკური ვარჯიშის ჩატარებას ოქტომბრელებში ძალიან ფრთხილად უნდა მივუდგეთ. ცხადია, ის შეიძლება ჩატარდეს ოქტომბრელებში არა ისე, როგორც პიონერებში: პიონერულ ვარჯიშობებს ოქტომბრელის პატარა სხეული ვერ აიტანს, ეს ზიანს მიაყენებს მას. ჩვენ უნდა ვეცადოთ ისეთი ვარჯიში ჩავატაროთ, რომელიც მიზანშეწონილი იქნება ოქტომბრელისთვის. მაგალითად, უპირველეს ყოვლისა ოქტომბრელებს უნდა შევასწავლოთ მწყობრითი სიარული და თავისუფალი მოძრაობა. ფიზიკური აღზრდის თვალსაზრისით ოქტომბრელები უნდა მივაჩვიოთ აგრეთვე სისუფთავის დაცვას, ხელ პირის დაბანას და სხვ.

ოქტომბრელებს ძალიან უყვართ თამაში, თამაში ანვითარებს ბავშის ორგანიზმს; ამიტომ ოქტომბრელთა შორის მუშაობაში თამაში ფართედ უნდა გამოვიყენოთ. თამაში უნდა ეწყობოდეს სუფთა ჰაერზე. თუ ცუდი ამინდია, მაშინ კი დარბაზში.

თამაშის დროს ძალიან უნდა ვერიდოთ მტვერს; თამაში არ უნდა გაგრძელდეს 15 წუთზე მეტი.

როდესაც რაიმე საკითხზე ვატარებთ საუბარს და ეს კი შეეხება ადგილობრივ ცხოვრებას, ჩვენ შეგვიძლია ამ საკითხზე მოვაწყოთ ექსკურსია. მაგალითად, თუ ვატარებთ საუბარს სკოლის შესახებ, მაშინ ოქტომბრელებს უნდა ვუჩვენოთ სკოლა. თუ საუბარი შეეხება ქარხანას, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ექსკურსია მოვაწყოთ ქარხანაში.

ექსკურსიები შეიძლება მოვაწყოთ აგრეთვე საბავშო სახლებში, საბავშო ბაღებში და ბავშთა სხვა დაწესებულებებში.

კარგ მზიან ამინდში შეიძლება მოეწყოს ექსკურსია ბუნების მოვლენის შესწავლის მიზნით, მაგალითად, მახლობელ ტყეში, მინდორში, ბაღში, მდინარეზე და სხვ. ოქტომბრელების საექსკურსიოდ შორს წაყვანას უნდა ვერიდოთ.

რომ ოქტომბრელები მივაჩვიოთ შრომისმოყვარეობას, ამისათვის შრომითს აღზრდასაც დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. შრომითი აღზრდა შეიძლება ჩავატაროთ შემდეგნაირად:

ოქტომბრელებმა უნდა დაასუფთაონ თავიანთი სამეცადინო ბინა, უნდა მორთონ ის სურათებით და პლაკატებით, რასაც თვითონ უნდა აკეთებდენ. გარდა ამისა, თუ კოლექტივს აქვს ბაღი, ბოსტანი ან სახელოსნო, რიგ-რიგობით უნდა მუშაობდენ შიგ. ოქტომბრელებს ცალკე კედლის გაზეთი არ აქვთ. მათ აქვთ დათმობილი კუთხე პიონერთა კედლის გაზეთში, სადაც სწერენ თავიანთ ცხოვრებაზე. ოქტომბრელები არიან პიონერების უმცროსი ძმები. პიონერები მათ უნდა ეპყრობოდენ ისე, როგორც თავის უმცროს ამხანაგებს არამც და არამც არ არის დასაშვები ბრძანებლობა პიონერების მიერ. ოქტომბრელები თვალყურს ადევნებენ და მონაწილეობას ღებულობენ შეძლებისდა გვარად პიონერ კოლექტივის მუშაობაში, კამპანიების და დემონსტრაციების ჩატარებაში, კუთხეების მოწყობაში, თვითმოქმედებითი საღამოების და კედლის გაზეთების გაჟღერვების დროს.

მხოლოდ დაკვირვებული და შინაარსიანი მუშაობის წარმოებით შეიძლება ოქტომბრელები გახდენ ღირსეული პიონერები.

ტანი.

96 ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერები და საზოგადოებრივი საქმე.

(ზესტაფონი)

ზესტაფონის რკინისგზის ადგილკომთან არსებული ნ. პ. კოლექტივი გამოჯანსაღების გზას ადგია. კოლექტივში ჩატარებულ იქნა საკითხი— ლენინაკანში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა ბავშვების დახმარების შესახებ. პიონერები ძალიან დაინტერესდენ და განიზრახეს დახმარებოდენ მათ.

მეორე კრებაზე გამოყოფილ იქნა ერთი პიონერი, რომელსაც დაევალა პიონერებში ფულის მოკრება.

მართლაც, ყველა პიონერმა შემოიტანა თითო ორ-ორი კაპეიკი და შეგროვებულ იქნა ერთი მანეთი და 28 კაპეიკი. მართალია, ეს ფული არავითარ თანხას არ წარმოადგენს, მაგრამ ეს იმის მაჩვენებელია, რომ კოლექტივი დაინტერესებულია საზოგადოებრივი საქმით.

თითოეული პიონერის ორი სამი კაპეიკი ნიშნავს თითოეული პიონერის დაინტერესებას და მის მიერ მონაწილეობის მიღებას ამა თუ იმ საერთო საქმეში.

ვიმედოვნებთ, რომ ეს კოლექტივი, როგორც სხვა კოლექტივებზე ადრე დაარსებული, გააცხოველებს მუშაობას და სხვა კოლექტივებს მაგალითს მისცემს როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი მუშაობით.

ვარლამ გოლაძე.

წინ მივიწევთ.

(ქუთაისის მაზრა)

ქ. ხონის კ. ლიბკნეხტის სახელობის კოლექტივის მუშაობა თანდათან ღრმავდება. კოლექტივში ირიცხება 80-ზედ ბავში. მუშაობს რგოლების წინამძღოლებისაგან შემდგარი საბჭო. პიონერებს ეძლევათ სხვადასხვა დავალება, ვუშვებთ ორკვირეულ კედლის გაზეთს, გვაქვს დაარსებული პატარა სამკითხველო. ლენინის გარდაცვალების 3 წლის თავის აღსანიშნავად დავდგით საკუთარი ძალებით სალამო, წარმოდგენა, რამაც მაყურებელ გლეხებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა თუკი ჩვენმა წინამძღოლებმა მუშაობაზე გული არ აიგდეს (როგორც სჩვევიათ ზოგჯერ), ჩვენი მუშაობა უფრო გაძლიერდება.

პიონერი გ. მებუკე

ჩვენი მუშაობა.

ქ. ბორჯომში ბორჯომის შრომის სკოლასთან არსებულ ნ. პ. ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციის „პარიზის კომუნის“ სახელობის კოლექტივი აერთიანებს 40 პიონერს. ამათ შორის არიან ოქტომბრელებიც. კოლექტივი დაყოფილია რგოლებად და თვითეულ რგოლს ჰყავს აქტიური ხელმძღვანელი. კრებები იწვევა სისტემატიურად და ირჩევა ბავშთათვის საინტერესო საკითხები. აქ არსებობს აგრეთვე სხვადასხვა კუთხეები და წრეები, სადაც მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, ღირსეული ხელმძღვანელების მეოხებით. გამოდის აგრეთვე კედლის გაზეთიც, რომელიც ეხება კოლექტივის მუშაობას. საქარხნო-საფაბრიკო სკოლის უჯრედიდან მომაგრებული კომკავშირელები სათანადო მუშაობას აწარმოებენ.

პიკორი პავლე ბლიაძე.

საჭიროა ხელმძღვანელი!

(სენაკი)

ქ. ახალსენაკის ქალაქის კოლექტივი არსებობს 1922 წლიდან. ხსენებული კოლექტივი აერთიანებს 40 პიონერს და 20 ოქტომბრელს. მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ორჯერ, მხოლოდ სპორტის დარგში, სოც. დარგში კი სრულებით არ წარმოებს მეცადინეობა, რაც ძლიერ აფერხებს კოლექტივის წინსვლას. არც კედლის გაზეთი გამოდის. კარგი იქნება, ქალაქის ა. ლ. კ. კ. უჯრედიდან გამოჰყოფდენ მომზადებულ კომკავშირელს და ხელმძღვანელად დაგვიყენებდენ.

შალვა ადამია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერება და ტექნიკა

მთვარეზე გასაფრენი გემი

ადამიანს აღარ აკმაყოფილებს ჰაერის დამორჩილება, მას სურს დაიმორჩილოს მსოფლიოს უჰაერო სივრცეც.

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მეცნიერების და ტექნიკოსების აზროვნება გაცხოველებულად მუშაობს, რომ გამონახოს პლანეტათა შორის მიმოსვლის საშვალება.

ერთ აზრს ყველა ეთანხმება, რომ უჰაერო სივრცეში გასაფრენად შესაძლებელია გამოდგეს გემი-მაშხალა.



ჩვეულებრივი მაშხალა მოწყობილია შემდეგნაირად: ერთ თავში გაკეთებული აქვს ასაფეთქებელი ნივთიერება (ჩვეულებრივად თოფის წამალი). როდესაც ნივთიერება აფეთქდება, მაშხალას მაღლა ააფრენს.

ამნაირადვე უნდა იყოს მოწყობილი გემი მაშხალაც პლანეტათა შორის მიმოსვლისათვის. ბევრი ასაფეთქებელი ნივთიერებით უნდა იყოს ის გატენილი, უნდა ფეთქდებოდეს ფრენის დროს გზა-და-გზა და ამით გემს შორს, წინ უნდა მიაქროლებდეს.

პირველი ასეთი გემი-მაშხალა შეიმუშავა და მოაწყო გერმანელმა ასტრონომმა, მფრინავმა **მაქს ველერმა**. გემით გადაიფრენს ერთს წამში 2000 მეტრს, ე. ი. წუთში 120000 მეტრს. 7,200.000 მეტრს, ანუ 7,200 კილომეტრს საათში, 172,800 კილომეტრს დღედაღამეში.

მაქს ველერის გემი თავის საცდელ გაფრენას ბერლინიდან ნიუ-იორკში მოახდენს მიმდინარე წლის გაზაფხულზე.

სურათზე დახატულია **მ. ველერის** გემი ფრენის დროს.

როგორ შეიძლება თავი დააღწიო ხმაურობას.

ვინ არ იცის, რა სიძნელეს წარმოადგენს დიდ ქალაქში მუშაობა: ეტლების და ტრამვაის გრიალი, ყვირილი, მუსიკა, ცეკვა, ხმამაღალი ლაპარაკი მეზობლის ოთახებში და სხვა—ყველა ეს ხელს უშლის ადამიანს, რომ მან თავისუფლად იმუშაოს.

როგორ შეიძლება ადამიანმა შეჰქმნას მეცადინეობისთვის საჭირო პირობები!

თანამედროვე ადამიანს არ შეუძლია ქალაქს მოშორდეს და უმეტესობა იძულებული ხდება შეურიგდეს ყოველნაირ მოუწყობლობას.

მაგრამ ამ ბოლო დროს ამერიკელმა **გერნსბაკმა** გამოიგონა ერთგვარი მოწყობილობა, რომელიც აუმჯობესებს მუშაობის პირობებს.

დახედეთ ჩვენს სურათს, თითქოს მყვინთავი ამოსულა ზღვის ფსკერიდან და დავიწყნია მყვინთავის სამოსის გახდა. ნამდვილად კი ეს კაცია **გერნსბაკის** მიერ გამოგონებული ნიღაბით.

არავითარ ხმაურობას არ შეუძლია გაატანოს ამ ნიღაბში. ჩამოიცვამს თავზე ადამიანი ამ ნიღაბს და არავითარ ხმაურობას აღარ ძალუძს დაარღვიოს მისი მყუდროება.

ამასთანავე ნიღაბი შეერთებულია ნახშირმჟავთან და გერნსბაკის ნიღაბიანი კაცი სუნთქავს მშვენიერი სუფთა ჰაერით დიდი ქალაქის მტვერში.

97 ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოსტნის მოწყობა.

ჩვენი პიონერები ხშირად აწყობენ ბოსტნებს, მაგრამ ზოგჯერ მათ არც კი იციან, თუ როგორ უნდა იქნეს ის მოწყობილი. ამიტომ მათი შრომა უმეტეს შემთხვევაში უსარგებლო ხდება. პიონერები ამ საკითხს კარგად უნდა იცნობდენ.

პირველ ყოვლისა, მომუშავემ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს თესლის სიკარგეს. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ნიადაგს ამზადებენ დასათესად, დიდ ენერგიას და დროს ხარჯავენ, ბოლოს კი გამოდის, რომ მომუშავე რასაც მოელოდა თავისი მუშაობით, იმის მესამედ ნაწილსაც ვერ ღებულობს, ან არა და სულ ფუჭად ჩაუვლის თავისი შრომა. ეს ყველაფერი თესლის უვარგისობით ხდება. ამიტომ მომუშავეს წინასწარ უნდა ჰქონდეს მომზადებული კარგი თესლი. თესლის ამორჩევის დროს მთავარი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული ადგილის ამორჩევას. ხშირად ყურადღებას არ აქცევენ, როგორი ადგილია საჭირო ამა თუ იმ თესლისთვის. ბოსტნისათვის საუკეთესო ადგილად ითვლება ის ადგილი, რომელსაც ყოველმხრივ მზე უდგება. ის ადგილი, რომელიც იჩრდილება, ბოსტნისათვის არ ვარგა, რადგან ჩვენ ვიცით, რომ მცენარისათვის მზეს დიდი სარგებლობა მოაქვს: ის ამუშავებს მცენარის ფოთლებში საზრდო მასალას. ბოსტანს უნდა ჩაუდიოდეს მდინარე, რომ გვალვის დროს მორწყვა ადვილად შესძლოს პატრონმა. ის უნდა იყოს შემოღობილი, რომ დაცული იქნეს ცხოველებისაგან. საიდანაც ჰქრის ცივი ქარი, იქეთ უნდა იყოს დათესილი მაღალი მცენარე, როგორიც არის, მაგალითად, ცოცხი და სიმინდი: ის დაიცავს ბოსტანს ჭია-ღუებისაგან, რადგან ფრინველები ამათ უფრო დაეტანება და ფრინველები კი ჭია-ღუების დიდი მტერი არიან. დიდ საჭიროებას წარმოადგენს აგრეთვე ადგილის კარგად გაწმენდა ბალახებისაგან. როდესაც ჩვენ ასე მოვიქცევით და დავასუფთავებთ ადგილს, შემდეგ შეგვიძლია გადავიდეთ ნიადაგის დამუშავებაზე. საერთოდ ნიადაგს ამუშავებენ უმთავრესად ბარით, თოხით და კავით, მაგრამ თოხით დამუშავებული მიწა ცუდი არის, რადგან მიწა თხოულობს ღრმად გადმობრუნებას და თოხით კი ყოვლად შეუძლებელია ნიადაგის ღრმად დამუშავება. სჯობს მიწის კარგად დაბარვა ან დახვნა. როდესაც მიწას კარგად დაბარავთ ან დახნავთ, ნიადაგს უნდა მისცეთ სასუქი. საუკეთესო სასუქად არის მიჩნეული ქათმის და ცხენის განავალი, რადგან ის მეტად მხურვალეა და ესე იგი ხურვალე ძლიან უწყობს ხელს თესლის ზრდა-განვითარებას. აგრეთვე კარგ სასუქად ითვლება ყველა შინაური ცხოველების ნეხვი, გარდა წვრილფეხისა. კიდევ კარგი არის ნაცარი, ხის ფოთლები, ტორფი და სხვა. როცა მიწას დავამუშავებთ, მიწას დავყოფთ კვალებად. თუ აიღებთ კიტრს, მას უყვარს საშუალო ადგილი, არც ძალიან ნესტიანი და არც ძალიან მშრალი, ხოლო თუ სიცხეები დაიჭირა, მაშინ მორწყვა ესაჭიროება, რისთვისაც მზად უნდა გვქონდეს სარწყავი იარაღი. ახლა გავეცნოთ რამოდენიმე მცენარის მოყვანას.

კიტრს სთესენ ასე: სანამ დათესენ, ერთი ან ორი თვის წინ აღგს დახნავენ და დააყრიან სასუქს. თუ დაესწრო თოვლი ან წვიმა, მაშინ ამ სასუქიდან ნიადაგი მიიღებს სინოყივრეს. გამოზაფხულდება თუ არა, სასუქს აურევენ მიწაში, ნიადაგს ხელმეორედ გადაამუშავებენ და კიდევ მესამეჯერ. ამგვარად თესლის ჩაყრამდის კარგად გააფხვიერებენ, რომ თესლს თავისუფლად შეეძლოს ამოსვლა. მხოლოდ უნდა ეცადოთ, რომ სასუქი ბევრი არ მისცეთ, თორემ კიტრი (საერთოდ ყველა მცენარე) განებივრდება, დიდი გაიზრდება და ნაყოფს არ მოისხამს. შემდეგ ნიადაგს ჰყოფენ კვალებად, კვალებს აცილებენ არა ნაკლებ ორ-ნახევარი მეტრისა ერთიმეორეს. თუ მეტს დააცილებთ, კარგი იქნება, ხოლო ადგილი ბევრი დაგჭირდებათ. თუ ნიადაგი დაბალ ადგილს არ წარმოადგენს, კვალები ძალიან ღრმა არ უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ღრმა არის საჭირო. ეს კვალები საჭირო არის მისთვის, რომ, თუ ვინიცობაა ცუდი ამინდი დაიჭირა, მაშინ კვალებს შუა მოთავსებულ ნიადაგს გამოაცლის ტენს და მცენარეს ზრდის საშუალება მიეცემა. კიტრს თესვენ მწკრივში და აბნეულს. მწრივში დათესვას ის მნიშვნელობა აქვს, რომ იქნება დაცული ერთგვარი სიმეტრია და მასთან ყოველი თესლი დაცილებული იქნება ერთიმეორისგან განსაზღვრული მანძილით. ხოლო როცა აბნეული არის, უნდა ეცადოთ, რომ თესლი თესლთან ძალიან ახლო არ დატოვოთ. თესვის დროს ეცადეთ, რომ ნიადაგი ძალიან მშრალი არ იქნეს, თორემ თესლი ტენს ვერ იშოვის და გვიან ამოვა, ან სულ არ ამოვა. ასეთ შემთხვევაში თქვენ თვითონ უნდა მისცეთ ტენი მორწყვის საშუალებით. კიდევ ეცადეთ, რომ ნიადაგი ძალიან ფხვიერი არ იქნეს, თორემ, თუ წვიმა დაესწრო ახლად დათესილს, მაშინ წყალი გადარეცხს ნიადაგის სიფხვიერეს და, როცა გაშრება, ზედაპირი გამხმარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩება, რის გამოც თესლს არ შეეძლება თავისუფლად ამოსვლა. როცა კიტრი ამოვა, გათოხნიან ორჯერ ან სამჯერ, მოაცილებენ ძირში ყოველივე ბალახს და მიწას მიაყრიან, რომ მიყრილმა მიწამ შეინარჩუნოს ტენი და მცენარეს გამოულევლად მიაწოდოს საზრდო მასალა. ასეთი დამუშავების შემდეგ კიტრი მოისხამს ნაყოფს.

კიტრს თესვენ მარტში და აპრილის პირველ რიცხვებში. ახლა გადავიდეთ ნესვზე და საზამთროზე.

ნესვი და საზამთრო თითქმის ისეთ მოვლას თხოულობს, როგორც კიტრი. ნესვს უყვარს უფრო დასვენებული ნიადაგი (ნაძველახი), რომელზეც ორ-სამ წელს კარგად ხეირობს, მერე კი უნდა გამოუცვალოთ ადგილი, თუ არა და წინააღმდეგ შემთხვევაში მისცემთ სასუქს. რაც შეეხება საზამთროს, ის უფრო განსხვავდება ორივესგან ადგილის ამორჩევით: მას უყვარს ქვიანი ადგილი. თუ მას მივცემთ ქვიან ადგილს, რომელიც დასვენებულია, კარგ მოსავალს მოგვცემს. ნესვს და საზამრთოს აპრილში თესვენ.

კომბოსტოს უნდა შეურჩიოთ ისეთი ადგილი, როგორც კიტრს. მას ძალიან ემტერება მატლები და ისინი მოცილებულ უნდა იქნეს თავიდანვე, თორემ მერე სულ მოედება ყველა ძირს. ამგვარად შეგიძლიათ მოიყვანოთ კარგი მოსავალი. ხოლო ყურადღება მიაქციეთ კიდევ ერთ გარემოებას: როცა მცენარეს თესთ, ეცადეთ, რომ საიდანაც მზე უცქერს, იქეთ დათესოთ ყოველთვის დაბალი მცენარე, რომელიც დიდი არ იზრდება, შემდეგ თანდათანობით მაღალი და მაღალი იმისთვის, რომ ერთიმეორე არ დაჩრდილონ. თესლის დათესვის დროს, სანამ თესვას შეუდგებოდეთ, ყოველთვის ერთი ან ორი დღით ადრე თესლი წყალში დაალბეთ, შემდეგ კი ამოიღეთ და გააშრეთ. დათესვის დროს აურიეთ ნეხვში ან სილაში და ისე დათესეთ. ხოლო ეცადეთ ბევრი არ მოაბნიოთ, თორემ სქელი ამოვა და გათოხნის დროს მაინც უნდა მოთხაროთ და რომ ეს ასე არ მოხდეს, სჯობს ახალი თესლი, თუმცა კი დროს მოითხოვს, სათითაოდ დათესოთ. თუ მოიქცევით ისე, როგორც ზევით სწერია, ბოლოს თქვენ თვითონ გაგეხარდებათ. რომ იცოდეთ, როგორ სიამოვნებას განიცდით მაშინ, როცა ასეთი მუშაობის შემდეგ კარგ შედეგს მიიღებთ!! ვისაც ეს სიამოვნება არ გამოუცდია, ეცადოს, რომ თვითონ გამოცადოს.

მ. არველაძე.

მორზეს ანბანი.

უწინარეს ყოვლისა თქვენ მოისურვებთ გაიგოთ, როგორია გარეგანი სახე რადიომიმღებისა. ეს არის ლბრალო ყუთი რამოდენიმე ელვისური (ელექტრონული) ხელსაწყოთი და წყვილი ელსმენარით, ანდა გრამოფონის ხმამზარდის (რუპორის) მსგავსი მილნაკით ან მილით. გესმით თქვენ დაახლოვებით იმგვარადვე, როგორც ჩვეულებრივი ტელეფონით ლაპარაკის დროს, როცა მილნაკი გიჭერიათ ყურთან. შეეჩერდებით დაწვრილებით იმ საკითხზე, თუ როგორაა მოწყობილი ელსმენარა, ტელეფონის მილი. შედეგს ვიღებთ იმგვარს, რომ გამტარის მეორე ბოლოში მყოფი ადამიანის ხმის ბგერა გადმოგვეცემა ჩვენ მავთულით, მოქმედებს საელსმენო მიმღებზე — და ამგვარად ვისმენთ ხმას.

რადიო-ელსმენის ფართედ განვითარებამდე რადიო-ცნობათა ჩვეულებრივ საშუალებას წარმოადგენდა უმავთულო ტელეგრაფი; ნიშნების გადაცემის ეს საშუალება იხმარება ჩვეულებრივ ცნობების-

98

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის, მაგალითად, გემებსა და ნაპირებს შორის, ან ატლანტის ოკეანეს გადაჭრით. ამ ამოცანებისთვის რადიო-ტელეფონი არაა იმდენად სასარგებლო; მაგრამ მას მოაქვს უდიდესი სარგებლობა მუსიკის ან სიტყვის მრავალრიცხოვან მსმენელთათვის ფართედ-მაუწყებლით გადაცემის დროს.

მიმღებ რადიო-სადგურებში ხმარებული ელსმენარა ძლიერ ჰგავს იმათ, რომლებსაც ხმარობენ ჩვეულებრივ მავთულიან ტელეფონებზე. მთავარი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ რადიო-მიმღების სმენარა ბევრად უფრო მგრძნობიარეა, რადგან იმით გვიხდება უფრო სუსტი ნიშნების მიღება, მეორე იმაში, რომ მასზე მიმაგრებულია ჩაჩქანი ისე, რომ თქვენ შეგიძლიათ ჩამოიცვათ ის თავზე და არ შეიწუხოთ თავი სმენარას ხელში დაჭერით.

ჩვეულებრივი მოწყობილობა მდგომარეობს იმაში, რომ ორი პატარა სმენარა, რომელთაგან თვითეული მათგანი მჭიდროდაა მიდებული თვითეულ ყურზე, შეერთებული არი ერთმანეთთან თავის ზემოთ, დრეკადი ლითონის ზოლით, რის საშუალებითაც ეს სმენარები მჭიდროდ არიან მიდებული ყურზე (სურ. 1).



სურ. № 1 საელსმენო ჩაჩქანი.

რადიო-სადგურის გადაცემის მოსასმენად თქვენ მოგიხდებათ მხოლოდ თქვენი წყოსის ამუშავება და საელსმენო ჩაჩქანის ჩამოცმა იმგვარად, რომ ორივე ყური იყოს დაფარული.

ამ ჩაჩქანს გაკეთებული აქვს საელსმენო გამტარი, როგორც მას ჩვეულებრივად უკეთებენ უბრალო ტელეფონებსაც. ეს გამტარი შეერთებულია რადიო-მიმღებთან.

ზოგჯერ ის პირდაპირ შედის წყოსში, ზოგჯერ კი გამტარზე მყოფი ორივე მავთული მიემაგრება ცალკე თვითეული ორ შემაერთებელ ხრახნილს, ან ეგრეთწოდებული მიმღების „მომჭერს“.

ამგვარ სატელეფონო მიმღებთა უხერხულობა იმაში მდგომარეობს, რომ გადაცემულ ნიშნებს გაიგონებს მხოლოდ ერთი კაცი, რომელსაც ჩამოცმული აქვს ეს ჩაჩქანი, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს ნიშნები იქნებიან მეტად ხმამაღალი. შესაძლებელია ელსმენი დაიდვას პირდაპირ მაგიდაზე, მაგრამ თუ ოთახში მყოფ რამოდენიმე კაცს სურს მოისმინოს ნიშნები, ან უმავთულო სიტყვა, რომელიც იცემა, მაშინ იხმარება ეგრეთწოდებული „ხმამაღლა მოლაპარაკე“ (რეპროდუქტორი); არსებითად ეს ელსმენარის სახეა (სურათი № 2); ხმამზარდის მასთან დართვით, რომლის მეოხებითაც ბგერები უფრო ძლიერად ისმის. ეს მომარჯვებულობა აგებულია იმავე პრინციპზე, როგორზედაც გრამოფონი, სადაც აგრეთვე ბგერის გასაძლიერებლად იხმარება ბუკი ან ხმამზარდი. მე უკვე მოვიხსენიე, რომ ჯერ-ჯეროობით რადიო ტელეფონი არ გამხდარა საყოველთაო გამოყენების საგნად, რადიომოყვარულებს შეეძლოთ მიეღოთ მხოლოდ მორზეს ნიშნებით გადაცემული ცნობები.

სურ. № 2. ხმამაღლა მოლაპარაკე.

შესაძლებელია თქვენ არ იცოდეთ, ნამდვილად რა არის მორზეს ანბანი. თუ ასეა, მაშინ მე გიამბობთ.

ვინაიდან თავდაპირველად უმავთულო საუბარი შეუძლებელი იყო, და რადგან ადამიანის სიტყვა არ წარმოადგენს საკმარისი საიმედო საშუალებას ცნობების გადასაცემად, ამიტომ დაიწყეს ხმარება მორზეს ასოებისა, ან ეგრეთწოდებული კოდისა*) თქვენ თვითონ იცით, როგორ ძნელია ხშირად მიიღოთ ტელეფონით სწორი ნომერი და როგორ ხშირად დაიშვება შეცდომები ნომრებში და სახელებში. ამიტომ, არა მგონია, თქვენ გაგიკვირდეთ, რომ ცნობათა საიმედო გადაცემისათვის, სადაც საჭიროა ზედმიწევნითი სისწორე, ვიხმაროთ პირობითი ნიშნების რომელიმე სისტემა. ცხადია, კოდით გადაცემა ხდება ბევრად უფრო ნელა. სამაგიეროდ, მეორე მხრით, თქვენ უფრო მეტად ხართ დარწმუნებული იმაში, რომ თქვენი ცნობები გადაიცემა მეტი სისწორით, ვიდრე სიტყვების გადაცემის დროს.

თუ თქვენ გაქვთ სახლში რადიო-მიმღები, მაშინ აღარაა საეჭვო, რომ თქვენ მოისმენთ არა მარტო რადიო-ტელეფონის მუსიკას ან სიტყვას, მორზეს კოდით გადაცემულ რადიო-ტელეგრაფიას, არამედ აგრეთვე ნიშნებსაც, რომელთა საშუალებითაც მუდამ იჭერენ კავშირს ნაპირის სადგურები გემებთან, ჰაეროპლანები დედამიწაზე მყოფ სადგურებთან და შორს მყოფი სადგურები ერთი-მეორესთან.

შესაძლოა ამ ნიშნებმა არ დაგაინტერესოსთ თქვენ იმ უბრალო გარემოების გამო, რომ ისინი თქვენთვის გაუგებარი არიან და, ამას გარდა, ხშირად არ არიან არსებითად საინტერესონი.

---

*) კოდი ეწოდება საერთოდ პირობითს ნიშნებს, რომელთა საშუალებითაც გადაიცემა ესა თუ ის ცნობები.

მეცნიერება და სარწმუნოებრივი დღესასწაული.

მთელი ქვეყნის მორწმუნენი დღესასწაულობენ ყოველწლიურად ქრისტეს აღდგომას.

წელსაც, ისევე, როგორც მრავალი წლების წინათ, აღდგომადღეს ქრისტიანობის მიმდევარნი იტყვიან ქებათა ქებას იესო ქრისტეს სადიდებ[illegible] მორწმუნეთა ქვეყანა ამ დღეს ზეიმობს თავისი ღმერთის აღდგომას.

მაგრამ დღეს ვისაც სარწმუნოებრივი სიბნელისაგან თავი აქვს დაღწეული, ვინც ემყარება მეცნიერებას და მეცნიერულ ცოდნას, რასაკვირველია, არ შეუძლია გაიზიაროს ის ზღაპრები, რომლითაც კვებავდენ მრავალი საუკუნის განმავლობაში ხალხს ეკლესია და მისი მსახურნი, მხოლოდ იმისათვის, რომ ამ გზით და საშვალებით კარგად ეყვლიფათ ის.

რას ემყარება ჩვენი ასეთი მტკიცება, რა საფუძველი უდევს სარჩულად ჩვენს ასეთ მოსაზრებებს. —აი ის კითხვები, რომლებზედაც გარკვეული წარმოდგენა უნდა ჰქონდეს თვითეულ პიონერს, თვითეულ შეგნებულ ბავშს.

დიდი ხანი ფიქრობდენ, რომ ქრისტიანული სარწმუნოება არის ერთადერთი მთლიანი და დამოუკიდებელი რელიგია, მაგრამ მეცნიერულმა გამოკვლევებმა დაამტკიცეს, რომ მთელი ძველი და ახალი აღთქმის წიგნი („**ბიბლია**") თავისი ზღაპრებით ნასესხებია სხვა უფრო ძველი სარწმუნოებებიდან, სადაც ეს გადმოცემები აგრეთვე სწამდათ და სჯეროდათ.

რომ დავრწმუნდეთ ამაში, განვიხილოთ რამოდენიმე უძველესი ხალხის სარწმუნოება, რომელიც ქრისტიანობაზე გაცილებით უფრო ადრე არსებობდა.

ეგვიპტელებს ჰქონდათ რამოდენიმე სარწმუნოებრივი დღესასწაული, მათ შორის ყველაზე უფრო დიდი და საზეიმო იყო **აღდგომის კულტი.** ამ დღეს ეგვიპტელები დღესასწაულობდენ მათი მთავარი ღმერთის **ოზირისის** მკვდრეთით აღდგომას.

აი, რას მოგვითხრობს ამ ღმერთის კულტის შესახებ ცნობილი მეცნიერი ჰეროდოტე: „ეგვიპტელებს ჰქონდათ გადმოცემა, რომ ოზირისი 28 წლის განმავლობაში ფლობდა ეგვიპტეს, ასწავლიდა ხალხს მიწათმოქმედებას, მეცნიერებას და სხვა, ერთი სიტყვით, ზრუნავდა ხალხისათვის, მაგრამ ბოროტმა ხელმა არ დაინდო კეთილი ღმერთი და მუხანათურად მოჰკლა ის; რამოდენიმე ხნის შემდეგ ოზირისი გაცოცხლდა, მაგრამ მან დასტოვა სამეფო ტახტი და წავიდა უხილავ სამეფოში—ცაში, სადაც ის მეორედ მოსვლის შემდეგ უხელმძღვანელებს ცოდვილთა და მართალთა სამსჯავროს. ეგვიპტელების ლიტურგია (საეკლესიო ღმერთმსახურება) პირველ დღეებში (როცა ოზირისი გასცეს და მოჰკლეს) ტირილის, შავებში ჯდომის ხასიათს ატარებს; მოგვები (მათი ხუცები) შეიმოსებოდენ შავი სამოსელით, მორწმუნეები სხვადასხვა ასკეტური ზომებით (ახლანდელი დიდი მარხვა), აღნიშნავდენ თავის მწუხარებას ღმერთის წამების გამო. ტირილი და ცრემლები შემდეგ ზეიმით, უსაზღვრო მხიარულებით იცვლება და ხალხი ეძლევა ჭამა-სმას, გართობას, მხიარულებას... ოზირისი მკვდრეთით დგება...

ავიღოთ ბაბილონელთა სარწმუნოება. ამ ხალხს (რომელიც ცხოვრობდა 20 საუკუნის წინ ქრისტიანობამდე) სწამდა ღმერთის თამუზის კულტი. თამუზი იყო განსახიერება ზრდის, მოძრაობის, ნაყოფის გაცოცხლების.

ბაბილონელებს სწამდათ, რომ ძლიერი თამუზი კაცობრიობის გულისთვის იტანჯა, რომ ბუნების „სიკვდილთან" (ზამთარი) ერთად კვდება ისიც და მიდის „ქვესკნელის სამეფოში", რომ იქ ტანჯვა-წამებით და შეუპოვარი ბრძოლით კვლავ დაუბრუნოს კაცობრიობას გაზაფხული.

როდესაც გაზაფხული დგება, როცა ბუნება ისევ ცოცხლდება,—თამუზი ხანგრძლივი წამების შემდეგ კვლავ უბრუნდება მიწას.

ძველად, როდესაც მეცნიერება და ტექნიკა იმდენად განუვითარებელი იყო, რომ ადამიანს ფიქრიც არ შეეძლო ბუნების სტიქიურ ძალთა წინააღმდეგ თავისი ხელოვნური ძალის დაპირისპირებაზე,—ადამიანის არსებობა, მეურნეობა, მოსავალი დამოკიდებული იყო სრულიად გაუგებარ ძალებზე.

ერთ რამეს კი გარკვეულად ხედავდა ძველი ადამიანი: ეს იყო ბუნების მკაცრი სახეცვალებანი, რომელიც მეორდება უცვლელი კანონიერებით და რომელთანაც დაკავშირებულია მოსავლის სვე-ბედი. ცხადია, რომ გონებრივი განვითარების უმდაბლეს საფეხურზე მდგომ ადამიანს უნდა დაესკვნა, რომ ბუნების ცვლილებებს, მის კანონიერ მოძრაობას ჰყავს მართველი, რომელსაც მან უწოდა ღმერთი; შემდეგ მას დაუპირდაპირდა ბოროტი ღმერთი; შეიქმნა წარმოდგენა მათ შორის ბრძოლის შესახებ, წარმოიშვა კულტი კეთილი ღმერთის წამებისა და შემდეგ, ბუნების გამოცოცხლებასთან ერთად, მოსავლის გამოკეთებასთან ერთად,—ღმერთის მკვდრეთით აღდგომისა.

თუ ძველად „აღდგომის კულტს" უშუალო კავშირი ჰქონდა სასოფლო მეურნეობასთან და იმ სამუშაოსთან, რომელიც ხალხს უნდა შეესრულებია მომავალი პერიოდისათვის, ქრისტიანულ სარწმუნოებაში მას ეს აზრი და მნიშვნელობა ეკარგება. აქ ის უკვე სხვა მიზანს ემსახურება. „ქრისტეს აღდგომა", წარმოდგენა ქრისტეს წვალებისა, დიდი მარხვა და სხვა—ყოველწლიურად ახსენებს ხალხს, რომ საჭიროა მოვითმინოთ ამქვეყნიური ტანჯვა, რომ ვეზიაროთ „იმქვეყნიურ" ბედნიერებას.

აი, რატომ უარყოფს მას დღეს მეცნიერება და რატომ ცდილობს ის, დაარწმუნოს ამაში მოტყუებულ მორწმუნეთა ფართე მასები.

99
ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალ ბავშვებს.

თქვენ დღეს ხარობთ,
ცეკვავთ, ლხინობთ,
დარდი არ გაქვთ არაფრისა.
გიხარიათ, რომ დროშები
გიკავიათ ალის ფრისა.
მირბიხართ წინ სიხარულით,
გალობთ ნაზად, წკრიალა ხმით,
თქვენი გული სავსე არის
სიხარულით და ზეიმით.
თავისუფალ წითელ სხივში
აკრიალდით, ალაჟვარდდით,
გაახარეთ თქვენი მოძმე
და დასწყევლეთ ჯოჯოხეთი.
მხოლოდ ამას გევედრებით,
ჩვენო ტურფა ყვავილებო,
შეიყვარეთ ყველა ტომი,
ერთად წადით აღთქმულ მხარეს,
იარეთ წინ, ყველგან ნახავთ
თქვენებრ ტანჯულ გლეხის შვილებს,
და იმათაც გზა მიეცით
თავისუფალ ბავშთა მწკრივში,
მაშ იცინეთ, იგალობეთ
თავისუფალ ზეიმითა,
ხელში ნაზად ჩაიკონეთ
კომუნიზმის, ძმობის დროშა!

ქ. ლანდია.

(ტფილისი, მე-2 რაიონის მე-18 კოლექტივის პიონერი).

ჩემს პაწა მეგობრებს!

ჩქარა!. ჩქარა!.. ერთი... ორი...
დაუარეთ ქუჩებს...
შეურყიეთ ძველი რწმენა
ორგულებს და ურჩებს.
დაუარეთ... ერთი ორი!
და რიგებში სწორდით!..
ხედავთ, უკვე მომავალი
ფრთებგაშლილი მოდის...
მოდის, მოდის!! მოაქვს ლოდად,
ვით გრიგალი, ისე:
გრძნობა, ცეცხლად ანთებული,
რწმენა, სიხალისე!
დაჭკათ!.. დაჭკათ!.. თქვენც წინ... მტკიცედ
ხუთქიმიან დოლებს...
რიგ გარეშე ნუ დატოვებთ
მეგობრებს და ტოლებს.
ჩქარა!! ჩქარა!! ერთი ორი...
დაუარეთ ქუჩებს...
დაუფეთეთ ძველი რწმენა
ორგულებს და ურჩებს.

ვ. გლეტჩერი.

მრეშველი ქალი

გუშინ ის იყო მამაკაცის მონა-მორჩილი,
სულს უხუთავდა მას მონობის მძიმე ბორკილი.
მეფის კანონი მას მხეცივით მუდამ სდევნიდა,
ცხოვრების წინსვლას მოწყვეტილი, თვის ბედს სწყევ-
ლიდა.
მაგრამ აივსო მოთმინებით თასი, ფიალა,
და ქალის ხმებმაც ცის სივრცეში გაიწკრიალა:
„ძირს ბატონობა, ძირს მონობა, ძირს ძალა ბნელი,
აღსდექით, ქალნო, დადგა წამი უკანასკნელი“.
და მებრძოლ კაცებს შეურთდენ მედგრად ქალები.
უკუაქციეს ერთი დაკვრით მტრების ძალები.
ამ დიდ ბრძოლის დროს მან მშრომელებს დასდო ამაგი,
დღეს ის მამაკაცს გვერდში უდგას, ვით ამხანაგი.

პიონერი გიორგი მებუკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასართობი

საქართველოს სახელმწიფო ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დვირიდან გადმოგდება

პიონერები, რომლებიც გაყოფილნი არიან ორ ჯგუფად, მოგროვდებიან ერთ წაქცეულ ხესთან ან ბოძთან და თვითეული ჯგუფიდან თითო-თითო გამოვლენ შესაჯიბრებლად. შეჯიბრი წარმოადგენს შემდეგს:

ორივე მოწინააღმდეგე დგება ბოძზე, მარცხენა ხელებს დაიჭერენ დოინჯად და მარჯვენა ხელებს ჩაავლებენ ერთმანეთს ხელში. შემდეგ თვითეული მათგანი შეეცდება მოწინააღმდეგის ჩამოგდებას. ვინც პირველი გადმოვარდება ბოძიდან, ის წაგებულია. გამარჯვებულები ერთმანეთს შეეჯიბრებიან.

2. რბენა ჯგუფოგით

მთელი მოთამაშეები იყოფიან ჯგუფებად, თვითოში 5—10 კაცი თვითეული ჯგუფი გამწკრივდება და ერთმანეთს ხელი-ხელს გაუყრიან. შთანგის მიცემის შემდეგ ეს ჯგუფები გაექანებიან უკვე წინდაწინვე აღნიშნული ადგილებისკენ. გზაში ისინი ცდილობენ ხელები არ გაუშვან.

იმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც პირველად მოირბენს დანიშნულ ადგილას და მწკრივს არ გასწყვეტს.

ეს თამაშობა შეიძლება ცოტათი შეიცვალოს: ჯგუფი კი არ გამწკრივდება, არამედ ერთმანეთს ამოუდგებიან უკან სიმაღლეზე და ხელებს აწყობენ მოწინავის მხარზე.

თამაშობის შესრულება ისევე: ეჯიბრებიან დაწევნაზე და, რომ არ გასწყვიტოს კავშირი ჯგუფებში, მეთაურს შეუძლია სირბილის გასაადვილებლად ბიჯებზე თვლა.

3.

1925 წელში ჩვენი კოლექტივის პიონერს მისი დაბადების დღეს შეეკითხენ, თუ რამდენი წლის იყო, მან უპასუხა: „ჩემი დაბადების წლის ციფრთა ჯამი უდრის ჩემს წლოვანებას“. ჩვენ დავფიქრდით და გამოვიცანით. აბა, სცადეთ თქვენ.

ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

4.

— ავი
— ასამანი
— ვნისი
— იმონი
— ნიკო
— ურა
— აშტი

ხაზების ადგილას დასვით ასოები ისე, რომ მიიღოთ სიტყვები; შემდეგ ეს სიტყვები გადასვით ისე, რომ პირველმა ასოებმა მოგცესთ ერთ-ერთი ჩვენი რევოლუციონერის გვარი.

5.

მოცემულ ფიგურაში უნდა ჩასვათ შემდეგი სიტყვები ჰორიზონტალურ რიგებში: 1. ბოსტნეული. 2. ქალის სახელი. 3. ქვეყნის ნაწილი. 4. კაცის სახელი. 5. მდინარე საქართველოში. 6. ნახევარკუნძული აზიაში. 7. ტუალეტის მოწყობილობა. 8. ბოსტნეული. 9. კულტურული დაწესებულება. 10. ქალაქი დასავლეთ საქართველოში. 11. წელიწადის თვე. 12. ქალაქი რუსეთში 13 სასმელი. 14. სასმელი. 15. გაცხოველი; ჩასვით ისე, რომ შუა ასოებმა ზევიდან ქვევით მოგვცეს საქართველოს ერთ-ერთი გმირის სახელი და გვარი.



100 ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა და იყიდება სახელგამის გამოცემანი.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის სალიტერატურო-სამხატვრო სექციის რედაქციით:

	ფასები:
„ნორჩი ძალა“—კრებული	15 კ.
„კოკროჭინა“ დ. დონდუასი . . .	10 „
„ბელა ბეკეკა“	10 „
„ტყის სურათები“—შ. მღვიმელის	25 „
„ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი“	30 „
„თავისუფალ ბავშთა სიმღერები“ .	20 „
„ქართული მოძრავი თამაშობანი“	80 „
„ივანე სულელი“—ლ. ტოლსტოის	15 „
„მოძრავი თამაშობანი“ გოგლიჩიძის . . . . . 1 მ.	
„უძველესი დროის ბავშის თავგადასავალი“	15 „
„როგორ იცავენ თავს ცხოვრებლები მტრისაგან“—გ. ანთელიძის. .	25 „
„რას გვიამბობს ოთახი“	20 „
„ზღვის სიმდიდრე“	20 „
„პატარა იაპონელები“—ფერად ყდით	75 „
„ჩვენი უფროსი ძმები, ახალგ. კომკავშირლები“	10 „
„კომბლე“—სურათებიანი (ხალხური ზღაპარი)	65 „
„ლენინის საათი სკოლაში“	50 „
„ტაიგის საუნჯე“	40 „
„პიონერი სოფლად“	25 „
„საბავშო ბაღი“ . . . . . 1 მ.	
„მომღერლები“	15 „
„ნორჩ პიონერთა თანამგზავრი“ . .	20 „
„ნორჩი პიონერები და ბავშთა საერთაშორისო კვირეული“ . . .	20 „
„საბავშო სახლის ცხოვრება“ . . .	70 „
„იყავ მზად“	5 „
„კომკავშირო, მოამზადე მესამე წყება“	30 „
„ბავშთა კომუნისტური მოძრაობა“ შ. ტაბიძის	60 „
„საქართველოს პიონერ-ორგანიზაციის მორიგი ამოცანები“ . . .	15 კ.
„წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი“	35 „
„თინიკოს ამოცანები“	45 „
„პატარა ჰოლანდიელები“ ლიუსი ფიჩ-პერკინსის	80 „
„წითელკანიანები“—ხლებნიკოვის .	55 „
„ახალი ორთქლმავალის სიმღერა“—სპრეგ მიტჩელის	25 „
„ჩემი პატარა წიგნი“ ი. გრიშაშვილის და სტაროსელსკის.	50 „
„წითელი ვარსკვლავების მოგზაურობა საოცარ ქვეყანაში“ . .	55 „
„მაღალი მთის და პატარა ნაკადულების ამბავი	30 „
„გელა და ცქვიტო“—ნ. კეცხოველის	45 „
„სიზმრად და ცხადად“	30 „
„მზე, მთვარე და ვარსკვლავები“ .	60 „
„ოქტომბრის დღეები“ . . . . . 1 მ.	20 „
„ჩემი ყვავილები“—შ. მღვიმელის .	40 „
„ცელქები“—შ. მღვიმელის	30 „
„პურის მარცვლის თავგადასავალი“	40 „
„აი როგორ ვმუშაობთ“ . . . . . 1 მ.	
„კოჭლი წიწილა“	25 „
„უცნაური ამბავი“—ვ. პარკაძის .	35 „
„ხარიტა“ – გუმილევსკის. . . . . 1 მ.	
„განახლებული დედამიწა“—ჰარვუდის . . . . . 1—20	„
„სიმღერები“—შავერზაშვილის . .	80 „
„საბავშო ბაღი“ ფერადი სურათებით 1—20	„
„დაღუპვის პირად“—სვენ გედინის.	25 „
„პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრება“—ლუნკევიჩის . . .	30 „
„საბავშო ბაღი“—წიგნი ფერადი სურათებით“	12 „
„პირველი მაისი“ – პირველი მაისის დღესაწაულის ჩასატარებელ მასალათა კრებული	

იბეჭდება და ჩქარა გამოვა.

„სიმღერები“—ნ. შარაბიძე . . . .
„ვინ არის ყველაზე ძლიერი“—ჭანიშვილი და ძნელაძე . . . . . .
„აბ-აბ, სიამაყე მთებისა“—ე. მარკოვის, მოთხრობა, აფხაზეთის ცხოვრებიდან . . . . . .
„ათეული“ — ფერადი სურათებით. მ. მიქელაძე-ბაგრატიონი . . . .
„ჩემი მეგობრები და ნაცნობები“ .
მოთხრობები“—ი. ევდოშვილის .

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვა 1927 წ. გამოვა

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული

ჟურნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი II

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწეროს

პიონერი

მიიღება ხელის მოწერა 1927 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში	5 მან.
ექვს თვეს	3 მან.
სამ თვეს	1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი—25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 31, განათლების სახალხო კომისარიატი. „პიონერი“-ს და „ნაპადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ტფილისი—5/IV—27. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხ. პრ. № 91.
მთავარლიტი № 594 შეკვ. № 765/5396 ტირაჟი 2000.